

619
1984/2

ეროვნული
ზიგლოტიკა




საქართველო

ფეხვეთი
№ 12 1984 წ




ეროვნული
ბიბლიოთეკა

გვინჩავლის ქორეილები
ფოტო ვალერი სოკოლოვიჩი



საზვიამო რიტუალების სასახლეში.



17.711



სურათებზე: (მარცხნივ) ტრიბუნაზეა ხარატი ზ. ფირცხალაიშვილი.

წინასაარჩევნო კრების მონაწილენი.

შრომითი კოლექტივების კრებებზე დეპუტატობის პირველ კანდიდატებად ერთსულოვნად ასახელებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს კ. უ. ჩერნენკოს, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელებს, მუშათა კლასის, კომმუნურნი გლეხობის, სახალხო ინტელიგენციის სახელოვან წარმომადგენლებს.

თბილისის ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანაში შედგა წინასაარჩევნო კრება. შეკრებილნი მჭუხარე ტაშით შეხვდნენ ხარატის ზ. ფირცხალაიშვილის წინადადებას, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 4 რკინიგზის საარჩევნო ოლქში დაასახელონ პარტიისა და ხალხის ერთგული შვილი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. უ. ჩერნენკო.

ზემო ქედის სტალინის სახელობის კომმუნურნების წინასაარჩევნო კრებაზე აგრონომმა ფარნაოზ ბუჩუკურმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შვეარდნაძე.



ზემო ქედის სტალინის სახელობის კომმუნურნები წინასაარჩევნო კრებაზე.

პროლეტარებო აველა ქვეყანა, შერთოდით!

დროშა

№12 (576) დეკემბერი, 1984

შურნალი გამოდის 1928 წლიდან

სოციალ-დემოკრატიული საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიბერალური-სამხატვრო შურნალი

მთავარი რედაქტორი
ხუტა ბერულავა

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა

© „დროშა“, 1984 წ.

სარედაქციო კოლეგია:

გულნარა ბახტაძე (პ/მგ. მდივანი), ვასილ გვამბაძე, ნათელა გიორგოზიანი, თამაზ გომოლაძე (მთ. რედაქტორის მოადგილე), ოთარ დემეტრაშვილი, სერგო დურმიშიძე, ვახტანგ ეხვანჯია, ოთარ თურქია, დინარა ნოდია (მხატვარ-რედაქტორი), ლადო სულაბერიძე, ილია ტაბაღუა, ნუგზარ ფოფხაძე, გიორგი ჩარკვიანი, უჩა ჯაფარიძე.

კ. მარტის სს. ს. სსრ
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება

აგროსამრეწველო კომპლექსი ეროვნულად

სოფლის მეურნეობის მართვის ახალი ფორმა — აგროსამრეწველო კომპლექსი, დღეს უკვე მოქმედებს. მისი შექმნა უშუალოდ არის დაკავშირებული სასურსათო პროგრამის განხორციელებასთან.

მართვის ამ ახალ ფორმას, როგორც ცნობილია, სათავე ჩვენს რესპუბლიკაში მიეცა. ექსპერიმენტი მალე საერთო-სახალხო შენაძინად იქცა. მისი უპირატესობა დღეს უკვე აღიარებულია და პრაქტიკით დადასტურებული.

გორის რაიონი პირველთაგანი იყო, სადაც სოფლის მეურნეობის მართვის ამ ახალმა ფორმამ გაიარა გამოცდა. გაერთიანებულ ბევრი რამ დაიწერა, როგორც ჩვენი რესპუბლიკის, ისე საკავშირო ყურნალ-გაზეთებში. და მაინც, ვფიქრობთ, „დროშის“ მკითხველებისათვის ინტერესს მოკლებული არ იქნება, გაეცნოს საუბარს **ვალერიან ხუციშვილთან** — ამ გაერთიანების თავმჯდომარესთან.

— **პატივცემულ ვალერიან, აგროსამრეწველო კომპლექსის შექმნას წინ უძღვოდა მთელი რიგი მოსაზრებადგამელი სამუშაოები. ამ იდეის დანერგვას, როგორც ცნობილია, ჰყავდა ბევრი მომხრე, მაგრამ იყვნენ მოწინააღმდეგეებიც, რას გვიტყვით ამის თაობაზე?**

— სიახლე, ხშირად, ადვილად როდი მკვიდრდება ცხოვრებაში. ასე იყო ახლაც. სასოფლო-სამეურნეო მართვის ახალ ფორმას მოწინააღმდეგე დღესაც ჰყავს. ამას წინათ დავბრუნდი ბრესტის ოლქიდან, სადაც ვმონაწილეობდი ყურნალ „დროშა“ ნაროდოვის“ მიერ მოწყობილ „მრგვალი მაგიდის“ მუშაობაში. ოცდათხუთმეტი მწერალი, ყურნალისტი, მეცნიერი, პარტიული და სამეურნეო მუშაკი მონაწილეობდა ამ თათბირში. გამაკვირვა ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკის სკეპტიკურმა დამოკიდებულებამ აგროსამრეწველო კომპლექსისადმი. ნათელი გახდა, რომ ზოგიერთ პიროვნებას დღესაც ვერ წარმოდგენია უწყებრივი უფლებების შეზღუდვა, შორს ვერ იხედება, ვერ ეგუება იმას, რომ მიწას ერთი პატრონი უნდა ჰყავდეს.

საბედნიეროდ, ასეთი ადამიანები თითო-ორი არიან, „მრგვალი მაგიდის“ თათბირის მონაწილეთა დიდი ნაწილი იმ აზრს იზიარებდა, რომ სოფლის მეურნეობის მართვის ეს ახალი ფორმა უდაოდ პროგრესულია, იგი დროის მოთხოვნებითაა ნაკარნახევი და ხელს შეუწყობს სასურსათო პროგრამის წარმატებით განხორციელების დაჩქარებას.

— **„მრგვალი მაგიდის“ მუშაობის მთავარი მიზანი, ალბათ, სხვა იყო, არა?**

— დიახ, ეს მხოლოდ სიტყვამ მოიტანა და იმიტომ გავიხსენე. ჩვენი შეკრების მთავარი მიზანი იყო: დაგროვილი გამოცდილების ურთიერთ გაზიარება, მუშაობაში მეტი სიახლის შეტანა, ამ საკითხებზე მწერალთა, ყურნალისტთა, მეცნიერთა აზრის მოსმენა. საგულისხმოა, რომ ჩვენი მუშაობა იმ დღეებში გაიმართა, როცა ფართოდ აღინიშნებოდა საბჭოთა კავშირის მწერალთა ორგანიზაციის პირველი ყრილობის 50 წლისთავი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა კონსტანტინე ჩერენეკომ თავის სიტყვაში მა-



აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარე ვალერიან ხუციშვილი მორიგ ოპერატიულ თათბირზე.

ლალი შეფასება მისცა საბჭოთა მწერლების მოღვაწეობას, ყურადღება გაამახვილა ცხოვრებასთან და ხალხთან მათი დაახლოების საკითხებზე. მე, როგორც სოფლის მეურნეობის მუშაკს, მეტად მახარებს, რომ ჩვენი მწერლები მართო მალამბატვრული ნაწარმოებების შექმნაზე კი არ მუშაობენ, ისინი აქტიურად ერევიან ცხოვრებისეულ საკითხებში, უშუალოდ მონაწილეობენ სახელმწიფოებრივი პრობლემების გადაჭრაში.

— **გთხროთ „დროშის“ მკითხველებს მოუთხროთ თქვენი აგროსამრეწველო კომპლექსის შესახებ.**

— ჩვენს გაერთიანებაში შევიდა 81 ორგანიზაცია. აქედან პირდაპირი დაქვემდებარებისაა 28 ორგანიზაცია, ხოლო ორმაგ დაქვემდებარებას განეკუთვნება — 53. პირდაპირი, ანუ ერთმაგი დაქვემდებარებისაა კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, სამეურნეობათაშორისო ორგანიზაციები. ორმაგი დაქვემდებარების ორგანიზაციებიდან 19 სოფლის მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს ექვემდებარება, დანარჩენი კი რესპუბლიკის სხვადასხვა სამინისტროსა და უწყებას განეკუთვნება. ყველა ორგანიზაციის მონაწილეობით შეიქმნა საბჭო, რომელმაც აირჩია გამგეობა. სოფლის მეურნეობის მთავარი საკითხები ახლა მხოლოდ საბჭოსა და გამგეობის სხდომებზე წყდება. გაერთიანების საბჭო და გამგეობა კოორდინაციას უწევს ყველა ორგანიზაციის მუშაობას.

მოისპო უწყებრივი ბარიერები. ორგანიზაციათა ურთიერთდახმარება სასურველ შედეგს იძლევა, როგორც ამ ორგანიზაციებისათვის, ისე მთლიანად რაიონისათვის, შექმნილია ცენტრალიზებული ფონდი. მომგებიანი ორგანიზაციები, დადგენილი პროცენტების მიხედვით, თანხებს გადარიცხავენ „ყულაბაში“, რომელსაც გაერთიანების ხელმძღვანელობა ახმარს წარმოების გაფართოებას, კულტურული და საბინაო ობიექტების მშენებლობას, მოწინავეთა წახალისებას. გასულ წელს ჩვენს საერთო ფონდში შემოვიდა ერთ მილიონამდე მანეთი.

— **ზამოთ თქვენი შეხებით უწყებრივი ბარიერების დაქვემდებარების საკითხს, ხომ არ მოიტანდით რამდენიმე საბუღალთსხმო მატალიტს ამაზე?**

— ჩვენს რაიონში არის სახან-სათესი ფართობები, რომლებსაც ზედაველას ვეძახით. იქ რამდენიმე წელია, მიმდინარეობს სარწყავი სისტემის რეკონსტრუქცია. მელიორატორთა მთელი ძალები იქით იყო გადასროლილი, ხოლო ზოგიერთ მეურნეობაში მცირე მოცულობის, მაგრამ აუცილებელი სამუშაოები ვეღარ სრულდებოდა, რადგან ისინი „წვრილმანად“ ითვლებოდა. გამოვიანგარიშეთ, რომ ამ „წვრილმანიდან“ საკმაოდ დიდ ზარალს იღებდნენ დიკის, ქვეშის, ზედღულეთის კოლმეურნეობები. გაერთიანების გამგეობის გადაწყვეტილებით დროებით შევაჩერეთ სარწყავი სისტემის რეკონსტრუქცია

ზედაველაზე და სხვადასხვა კოლმეურნეობის სარწყავი არხები შეეკეთეთ. ამის შემდეგ მშენებლები ისევ ზედაველას დაუბრუნდნენ. სხვა პირობებში ასეთი ნაბიჯის გადადგმას, ალბათ, რესპუბლიკის მთავრობის ჩარევა დასჭირდებოდა, ჩვენ კი ოპერატიულად გადავწყვიტეთ.


მსგავსი მაგალითების მოყვანა უამრავი შეიძლება.

— მებაღეობა გორის რაიონში წამყვანი ღარბია. რას გვითხვით ამის თაობაზე?

— ყოველწლიურად ჩვენ დაახლოებით 300 ათას ტონა სხვადასხვა სახის პროდუქციას ვაწარმოებთ. აქედან თითქმის ნახევარი ხილია. ვარდა ამისა, ვამზადებთ მარცვლეულს, შაქრის ჭარხალს, ბოსტნეულს, მეცხოველეობის პროდუქტებს. რაიონის სოფლის მეურნეობა მრავალღარგოვანია. ეს კი, ცხადია, საკმაოდ ართულებს მუშაობას. ასე, მაგალითად, ბოსტნეული ჯერ არ გვაქვს აღებული, როცა ხილის კრეფა იწყება, მას ფენდაფენ მოსდევს ჭარხლის ამოღება და ა. შ. ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა, მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ძალთა სწორ განაწილებას. ამ საკითხის ორგანიზებულად გადაწყვეტა კი აგროსამრეწველო კომპლექსის პირობებში უკეთესად ხერხდება. ჩვენ საბოლოო შედეგი ვაინტერესებს და არა ერთი რომელიმე ვამორჩეული ღარბი. სწორედ ამან განაპირობა ის გარემოება, რომ წინა წლებში თუ ვერ სრულდებოდა ისეთი პროდუქტების წარმოების გეგმები, როგორცაა ლობიო, ხახვი, ნიორი და სხვა, ახლა ამ პროდუქტების მაღალ მოსავალს ვიწვევთ. აი, თუნდაც ერთი მაგალითი: შავშვების საბჭოთა მეურნეობა ახლა თითოეულ ჰექტარზე საშუალოდ 19-20 ცენტნერ ლობიოს აწარმოებს, არცთუ ისე დიდი ხნის წინათ კი ჰექტარზე მხოლოდ 5-6 ცენტნერს იღებდა. ასევე ითქმის ბევრ სხვა მეურნეობაზეც.

— აბრკასამრეწველო ბაერთიანება დღეს უკვე ძალიან ორგანიზაციაა. თქვენს ხელთაა დიდძალი ტექნიკა, მათერიალური რესურსები, აბრეშვი დიდი უფლებები. რას გვითხვით კადრებზე?

— ცნობილია, რომ რთულ, მაღალმწარმოებლურ ტექნიკას მაღალკვალიფიციური კადრები სჭირდება. არაერთი შემთხვევაა ცნობილი, როცა რთული ტექნიკა საქმის უცოდინართა ხელში მკვდარ კაპიტალად ქცეულა და მისგან ვერავითარი სარგებელი ვერ მიუღიათ. ამ მხრივ ჩვენ დასამდური არა გვაქვს: რაიონის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, ასევე სხვადასხვა ორგანიზაციები, ძირითადად დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური მუშაკებით. თუმცაღა, აქვე უნდა ვთქვათ, ზოგან ჯერ კიდევ განვიცდით გამოცდილი ბუღალტრების, ეკონომისტების, აგრონომების ნაკლებობას. არსებული კადრების სწავლა-აღზრდისათვის, მათი პროფესიული დაოსტატებისათვის ჩვენ ყოველწლიურად ვატარებთ სპეციალისტებისა და სხვადასხვა ხელმძღვანელთა ატესტაციას. ეს კეთდება არა მარტო მათი კომპეტენტურობის დასადგენად, არამედ მათი პიროვნების შესწავლისა და დახასიათების გასარკვევადაც. ატესტაციის დროს ამა თუ იმ მუშაკს ვესაუბრებით მის მოსაწონ თუ დასაწუნ თვისებებზე, პირად საქმეშიც ვწერთ ჩვენს აზრს და ვეხმარებით ნაკლის გამოსწორებაში.



ხილის კრეფა გორის ექსპერიმენტალურ ტექნიკუმის ბაღებში.



გორის ექსპერიმენტალური მეურნეობა-ტექნიკუმის მთავარი აგრონომი თემურ მძინარაშვილი ესაუბრება მუშა-მოსამსახურეებს.

ვიმეორებ, ჩვენი სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციები ძირითადად მიიწი მაღალკვალიფიციური ხელმძღვანელებითა და სპეციალისტებით არიან დაკომპლექტებული. ასე ითქმის: ვარიანის საბჭოთა მეურნეობის დირექტორის ვახტანგ ბასილაშვილის, შავშვების საბჭოთა მეურნეობის დირექტორის ომარ იოსებძის, ხელთუბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარის თემურ ხაჩიურის, ფლავის კოლმეურნეობის თავმჯდომარის არჩილ ჯავახიშვილის, ტინისხიდის სამეურნეობათაშორისო მეცხოველეობის საწარმოს დირექტორის ნუგზარ ონიანშვილისა და სხვათა შესახებ. ჩვენ ვამაყობთ ისეთი მექანიზატორებით, როგორც არიან ჯემალ სურამელი, ოთარ ანესაშვილი, ომარ ტალახაძე, ჯემალ მანძულაშვილი, ვახტანგ ტურაშვილი, სულიკო მარიაშიძე, ოთარ მექვაბიძე და სხვები.

უპირველეს საზრუნავად მიგვაჩნია შრომის ორგანიზაციის სრულყოფა, სამუშაო დროის რაციონალურად გამოყენება. სელექტორული თათბირებით, რაც კარგა ხანია დავხერგეთ, თავიდან ავიცილეთ სოფლებიდან მუშაკების წარამარა გამოძახება. მოვაწყვეთ სადისპეტჩერო სამსახური, რომელიც დიდ შრომას ეწევა მი-

ღებული გადაწყვეტილებების ადგილებზე რადიოტელეფონით გადასაცემად, შესრულებაზე კონტროლის დასაწესებლად. ამ ცოტა ხნის წინ დავამონტაჟეთ სატელეფონო სადგური, რომლითაც კავშირი დამყარდა გაერთიანებაში შემავალ ყველა ორგანიზაციას შორის. ყოველივე ეს საშუალებას გვაძლევს, ოპერატიულად, გაუქიანურებლად გადავჭრათ არსებითი საკითხები.

დასასრულს, ყურნალ „დროის“ მკითხველებს მივხატებ, რომ როგორც გასული წელი, მიმდინარე 1984 წელიც გაერთიანებაში შემავალი მეურნეობებისა და ორგანიზაციებისათვის ნაყოფიერი აღმოჩნდა. ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების დავალებანი პირნათლად შევასრულეთ. წინ ახალი ზღუდეები. გორელი მენილეები, მებოსტნეები, მეცხოველეები კვლავაც ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ მეტი დოვლათი ვაწარმოთ და ჩვენი წვლილი შევიტანოთ სასურსათო პროგრამის წარმატებით განხორციელებაში.

ალექსანდრე ტაბატაძე,

„დროის“ სამცხალური კორესპონდენტი.

ნისლი შემოხვეოდა ტყიან მთებს. გადაულბლად ცრიდა. ქვევით კაშხალი გაწოლილიყო, მჭიდროდ ჩაეგმანა ვიწრო ხეობა. შორიდან ისე ჩანდა, თითქოს სწორი კედელი ჩაედგა ვილაცას. ჯერაც მოუმთავრებელი კაშხლის ზურგზე აქა-იქ დაფუსფუსებენ მშენებლები. შეუმჩნევლად ემატება ბეტონი ბეტონს, ცოტა კიდევ და ენგურის თაღოვან კაშხალზე ბოლო კუბური მეტრი ბეტონი ჩაისხმება.

შორიდან გავცქერი წყალსაცავს. ბოლო არ უჩანს. ვიწრო ყელის მიღმა იგი კვლავ ფართოვდება და ორიათეული კილომეტრის მანძილზე მისდევს თავის ახალ კალაპოტს. მთებში შემალლებულ განაკაფსაც ვხედავ. აი, იქამდე აიწივს საბოლოოდ კამკამა წყლის სარკე.

მოშორებით კატარამ გაავლო კვალი. ნელა მიდგაფუნებს. წყალსაცავში ჯერ კიდევ ბლომად დაკურავს ენგურის მიერ ჩამოტანილი მორები და სიფრთხილე საჭირო.

შაქრო კვაშილავს დავემგზავრე — ხულონპესის მე-14 უბნის უფროსს. ოცდათექვსმეტი წლის ინჟინრისათვის ეს ჩვეულებრივი, ყოველდღიური სამუშაო მარშრუტია. მე კი, მრავალი წლის შემდეგ, კვლავ შევხვდი ჩემს სიჭაბუკეს: ორი ათეული წლით აღრე, მეც ამ გზებზე დავდიოდი, თავზე მეგვირბის ჩაჩქანი მებურა, ხელში მებეტონის ფართო ნიჩაბი მეჭირა. სადღაც, ამ კლდეთა სიღრმეში, ჩემს მიერ ჩასხმული ბეტონიც ჩარჩა სამუდამოდ.

შაქრო კვაშილავს ბეჭებბრტყელი კაცია, მსხვილი, მუშური მკლავებით. სახის, ცოტა არ იყოს, უხემ ნაკეთებს თაფლისფერი თვალები და მორიდებული სიტყვაპასუხი არბილებს. ეს ჩემი პირველი შთაბეჭდილებაა. მის ბიოგრაფიაში არაფერია უჩვეულო. დაამთავრა სოფლის სკოლა, მერე სამშენებლო ტექნიკუმში, მოინახა სამხედრო სამსახური, შინ დაბრუნდა, ინსტიტუტის დაუსწრებელ ფაკულტეტზე მოეწყო და თან ენგურპესის მშენებლობაზე მუშაობდა.

ამ თოთხმეტი წლის მუშაობიდან ყველაზე მნიშვნელოვანი, ალბათ, სადაწნეო გვირაბში საქმიანობა იყო. თხუთმეტი გათხრილი კილომეტრიდან სამნახევარი ჩემი, უბრალოდ თქვა, თუმცა მის ნათქვამში ერთგვარი სიამაყეც იგრძნობოდა. „ძალიან ვჩქარობდით, დღე და ღამეს ვასწორებდით. დროზე უნდა დაგვემთავრებინა ბეტონის სამუშაოები და ხალხი გვირაბიდან არ გამოდიოდა. ახლოვდებოდა პირველი ტურბინის გაშვების დრო“... ამას რომ მიყვებოდა თანამგზავრი, მესხიერებაში თანდათან აღსდგა ოცი წლის წინანდელი ამბები. მაშინ გვირაბის მებეტონე ვიყავი, არ იყო იოლი საქმე, სამ ცვლად ვმუშაობდით. უზარმაზარმა მიწისქვეშა რკალმა თავდაპირველად ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მერე შევეჩვიე, მიწისქვეშ მუშაობა ჩვეულებრივ საქმედ გადავიქცა. გვირაბს ნათურები მკრთალად ანათებდა, ირგვლივ მუდამ ნახევრადბინდი იდგა. ძირს ნაყური წყალი მოლიკლიკებდა და რეზინის ჩექმები მეცვა. გუმბათიდან თავზე მსხვილი წვეთები მეცემოდა. ვინ აქცევდა ყურადღებას! ბეტონის საქმე დანადგარს დაგადუგი ვაპქონდა. თუჯის მიღებში თითქოს ხვნეშისო, ისე მიიწვევდა თხევადი ბეტონი. ეს ბეტონი გუმბათზე დგაფუნით იღვრებოდა მილიდან, იქ კი ვიბრატორითა და ნიჩბებით სწორდებოდა, იტკებებოდა.

— სამნახევარი კილომეტრი ჩვენ დავა-



ბეტონით! — გაიმეორა ჩემმა თანამგზავრმა. — ქანები გავამაგრეთ. დაბეტონებულ კედლები რვა მეტრის სიღრმეზე იბურლებს, დიდი წნევით შიგ თხევადი ცემენტი შეჰყავთ, ქანებში დარჩენილი ნაპრალეები ივსება და მაგრდება. მძიმე სამუშაოა, სინდისიერად უნდა გავკეთდეს, მომავლისა რომ არ გვეშინოდეს. სამუშაო დაგვემიღზე სამი დღით აღრე ჩავაბარეთ კომისიას!

შაქრო კვაშილავს, სხვა მოწინავეებთან ერთად, „საპატიო ნიშნის“ ორდენით დააჯილდოვეს.

შეისვენა და განაგრძო:

— მოკლედ, ჯარში რაც ლეიტენანტია, ჩვენთან დაახლოებით ისაა უბნის უფროსი. უბნის უფროსი ის შუალედური რგოლია, მშენებლობის მესვეურთა და დამ-

პროექტებელთა გადაწყვეტილებას ადგილზე რომ პრაქტიკულად ახორციელებს. უბნის უფროსი მშენებლობის ასე ვთქვათ, სულია. მას არც მისწავნა აქვს, არც განსაზღვრული სამუშაო საფარი უნდა ღილაუთენია გამოსულს, სხვა რომ არა იყოს, მართო ეს გზა დაღლის. მალე ლარით გზა გვექნება, მაშინ წუთში ავვარდებით ხულონში — ამ სიტყვებში ოცნებაც ჩანს და იმედიც.

გზა ხულონისაკენ — სვანეთის გზის ნაწილია. თაღოვანმა კაშხალმა და წყალსაცავმა ძველი გზა შთანთქა. ახალი გზა მაღლა გავიდა. მართალია, მანძილიც გაიზარდა, მაგრამ უფრო უსაფრთხო და თანამედროვე გახდა. ხულონპესის მშენებლობა რომ დაიწყო, ჩვეულებრივი, საავტომობილო გზა საკმარისი არ აღმოჩნდა. ახლა ხელახლა შენდება ბეტონის სწორი გზა, რომელიც მძიმეწონიან „ბელაზებს“ გაუძლებს. გზა ზოგან უკვე გავკეთებულია, შესანიშნავ ავტოსტრადაზე მივკრივართ. შეგადავიგ მძიმე მონაკვეთები: ან კლდეა მოსარღვევი, ან ნაშალი კედლებია გასამაგრებელი... ხეობის გადასახედთან მუშები ბეტონს ასხამენ. ცოტა მოშორებით, მთის ძირას ამფეთქებლებს ხერხელები ამოუღრუტნიათ. იქვე უშველებელი ექსკავატორი გრუნუნებს.

— ტრასაზე ჩემი ობიექტებიცაა, აი თუნდაც სალიშები, — მეუბნება შაქრო კვაშილავს.

დამხმარე გვირაბის შესასვლელთან ვჩერდებით. შიგ ბეტონსაქაჩი დანადგარი გაწოლილა. სიბნელეა. „სამი დღით ელდენი გამოგვითიშეს, მაღალი ძაბვის ხაზები გაჰყავთ!“ — უბნის უფროსის წუხილი გასაგებია. სამი დღე ცოტა არ არის. ორივე მხრიდან ძირითადი გვირაბი უკვე გაყვანილია და ორთავე პორტალიდან ღლის სინათლე შემოდის. გვირაბის სიგრძე 259 მეტრია! „სამი დღის შემდეგ კვლავ აჩახჩახდება აქაურობა და მუშაობაც სწრაფად წავა!“ — მე კი არა, საკუთარი თავი დააიძვლა შაქრომ.

ღლის სინათლეზე გამოვედით, ასიოდ მეტრი გავიარეთ და გავგაჩერეს. წინ მემონტაჟეების ბრიგადა მუშაობდა. შაქრო კვაშილავს მანქანიდან გადმოვიდა. გაისმის მხიარული შემახილები, მოკითხვა, საყვედური... უბნის უფროსი უბნის უფროსს შეხვდა, თანაც სენხიას. შაქრო ბუალავა იფიცება, დენს ზეგ მაინც ჩავიგოთავო. მერე საუბარში გაერთნენ. საუბარში არ ვერევი, ბევრი არაფერი მესმის. უზარმაზარი, მაჯისსიმსხო მავთულია დაგორგოლავებული და მემონტაჟეები იმას ექაჩებიან: წყალსაცავის გაღმა და გამოღმა, კლდეთა წვეროებზე აღმართულ სამწყება კომპებს შორის უნდა გადავიდონ. კომპურები ისეთ ფრიალოზე დაუყენებიათ, მანქანა ვერც მიუღებოდა და ვერტმფრენებით დავაყენეთო, მიხსნიან.

— ამით როგორ დავემდურო, ჩემი ძმა ვაჟა კვაშილავა მიშლის ხელს! — ხუმრობს შაქრო კვაშილავს, — იმ კომპურების ფუნდამენტი მისი ჩასხმულია!

ვაჟა ბუალავას ელიმება, ნუ ნერვიულობ, დენს დროზე ჩავიგოთავო. ამ ლაპარაკში ტრაქტორიც ავუგუნდა, დაიძრა და ბაგერი გაიყოლია. ხუმრობა ხომ არ არის, კომპურიდან კომპურამდე გაჭიმული ბაგერი 15 ტონას იწონის...

— ავერ ბარაუაშიც! აქ ორი გვირაბი იქნება, ესენიც ჩემი ობიექტებია, — მიხსნის შაქრო კვაშილავს.

ბარაჯაში ჯერ მხოლოდ ქალღმერთებს და მის ნაპირზე ერთი პატარა სახლი დგას. აქ გვირაბის პორტალი იქნება. ბეტონის საფუძველი უკვე ჩასმულია, თავზევით კი, კლდეზე, რკინის ბადეა მიჭედებული, უსაფრთხოებისათვის...

— აქ დავდგამთ საკომპრესორო დანადგარს და დაიწყება საქმე!..

ხეობა თანდათან ვიწროვდება. მთათა ფერდობები შვეულად ეშვება. ხანდახან ზევიდან გადმობრწყინდება შორეული, თოვლიანი მწვერვალები. აქაური ტყეები წაბლითა და კაკლითაა სავესე. მეფუტკრეებსაც თავიანთი სკები აქ ჩაუტრიალებიათ. ამას წინათ, მითხრეს, დათვმა ჩამოიარა წყალსაცავის გასწვრივ ღრილ-ღრილით. ალბათ, ვერ იცნო გარემო და იმას მისტიროდაო.

წყალსაცავი მზადაა. თავგამეტებით მოშუსის ენგური. თეთრქაფიანი ტალღები ეხლება ლოდნარს...

აგერ ხულონიც!

უკვე იგრძნობა ტექნიკისა და ადამიანის სიძლიერე. ფერდობებზე უამრავი გზა გაპყავთ, ყველგან მიწის ნაშალია. აგერ ხულონის პატარა დასახლება — ახალი საერთო საცხოვრებელი, ბარაკები.

ცოტაც და ვიწრო ყელი გამოჩნდა. კლდის ნაპრალიდან ნაკადული მოჩუხჩუხებს. გაღმა, კლდის ზურგზე, ტყე უკვე გაუკაფავთ. ამ ადგილას ჩაშენდება ხულონის თაღოვანი კაშხალი — 177 მეტრი სიმაღლე იქნება.

დაბლა, მდინარისაკენ ვეშვებით. გონებაში ისევ ცოცხლდება წარსული. ქვალორღზე სწორედ ამგვარად ვეშვებოდი თაღოვანი კაშხალის მომავალ საფუძველზე. წყლის გადასადგები გვირაბი მაშინ უკვე გაყვანილი იყო. უზარმაზარ, პირდაღებულ პორტალში კრძალვით შევედი, ერთი შეხედვით ყველაფერი მომთავრებული ჩანდა, მაგრამ კიდევ მთელი წელიწადი ვიმრომეთ და ბეტონს ბეტონი დავამატეთ. ახლა ის გვირაბი დახურულია: შიგ ოცი მეტრის სისქის ბეტონის სარქველი ჩაასხეს. დღეს კი, ამდენი ხნის შემდეგ, ისეთსავე გვირაბს მივადექი. იგი თითქმის ნახევარ კილომეტრზეა კლდეში გაჭრილი. ძირს ნაყური წყალი მოლიკლიკებს, თალიდან მსხვილ-მსხვილი წვეთები გვეცემა.

— ესეც ჩემი ობიექტია! — სიამაყით თქვა შაქრო კვაშილაევამ და თან ნაჩქარევად დაუმატა: — მარტო ჩემი კი არა, აქ სხვა უბნებიცაა. ჩვენ ბეტონის სამუშაოები უნდა შევასრულოთ. შემოდგომაზე კი, იქნებ მობრძანდეთ, ზეიმი გვექნება, კალაპოტიდან ენგურის გადაადგების ზემი!..


სამუშაო ჯერაც ბევრია, მაგრამ როგორც ენგურის თაღოვანი კაშხალი, ხულონის თაღოვანი კაშხალიც ისეთ ადამიანთა ხელშია, უკან დახევა რომ არ იცინა.

გვიან საღამოს მოიცალა შაქრო კვაშილაევამ. უკან, ზუგდიდისაკენ გაუყვა გზას. უბნის უფროსი ხშირად ჯვარში რჩება, ან ხულონში, შესაძლებლობა რომ მიეცემა, შინ მისწრაფვის ხოლმე. ოჯახში ელოდება ივანი — მეუღლე, უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ფილოლოგი და, სამი პატარა შვილი — გელა, ლელა და ირაკლი.


ენგურის ეპოპეა გრძელდება.

ჯეგალ ქირია,



„დროშის“ საპენსიონარო კორპორაციის მენეჯერი.



ენგურის ხეობის მშენებლობაზე



ხულონის მშენებლობაზე.




**საგამოფანო
დარბაზიდან**

თბილისის მხატვრის სახლ-ში მოეწყო ცნობილი მოსკოველი მხატვრის ბორის მესმერის ნამუშევრების გამოფენა. წარმოდგენილი იყო სხვადასხვა ჟანრის (ფერწერა, გრაფიკა, სცენოგრაფიული კომპოზიციები, ოფორტები და ლითოგრაფიები) 100-ზე მეტი ნამუშევარი.

გამოფენის დარბაზში. ბელა ახმადულინას კომპოზიციური პორტრეტი. ბაღერიანი ხარისხსთან. ბორის მესმერის საგამოფანო დარბაზში.





საქართველო კავშირები

ტურ ჰეიერდალი თბილისში.

ის, რაც კაცობრიობას აერთიანებს, ბუნებრივია და უნდა წახალისდეს, და, პირიქით, რაც თიშავს ხალხს, ნაძალადევი და უნდა დაძვლინოს.

ტურ ჰეიერდალი.

დაბადებიდან სამოცდაათი წელი შეუსრულდა მრავალი ქვეყნის გეოგრაფიული საზოგადოებებისა და აკადემიების საპატიო წევრს, ჩვენი დროის უდიდეს მოგზაურსა და მეცნიერს, ნორვეგიელ ტურ ჰეიერდალს. დღეს მის სახელს ამუხდენისა და ნანსენის გვერდით მოიხსენიებენ. დიდი ტირაჟებით გამოცემული, მხატვრული ენით დაწერილი მისი მეცნიერული, სათავგადასავლო გამოკვლევები გულთან მიიტანა მილიონობით მკითხველმა. ყველას აოცებს ჰეიერდალის თავგანწირვა, საოცარი შრომისმოყვარეობა, იშვიათი აზლი და დასახული მიზნისაკენ დაუოკებელი სწრაფვა.

ტურ ჰეიერდალი დაიბადა 1914 წლის 6 ოქტომბერს, სამხრეთ ნორვეგიის პატარა საპორტო ქალაქ ლაერიკაში. მამა ლუდის მღვდლებელი იყო, შვილს სპორტის სიყვარულს უღვივებდა, დედა კი ბუნებისმეტყველებისაკენ უბიძგებდა. ჰეიერდალი, თავის თანატოლებთან ერთად, ბევრს მოგზაურობდა, აგროვებდა მწერებს, ფრინველებსა და თევზებს. განსწავლის პერიოდში, მან მიტოვებული ძველი საბჭელი ზოოლოგიურ მუზეუმად აქცია. შევიდა ოსლოს უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო-გეოგრაფიულ ფაკულტეტზე. ამ პერიოდში მასზე დიდი გავლენა მოახდინა ოჯახის ახლო ნათესავმა ბიარნე კრეპელინმა, რომელიც დიდხანს ცხოვრობდა კუნძულ ტაიტზე და მეგობრობდა ტერიეროს ტომის ბელადთან. კრეპელინი ხშირად ესაუბრებოდა სტუდენტ ჰეიერდალს საინტერესო თემაზე: დედამიწის იზოლირებულ რაიონებში სიცოცხლის წარმოშობასა და ევოლუციაზე.

1936 წელს ზოოლოგი ჰეიერდალი მეუღლესთან ერთად ჩავიდა კუნძულ ფატუნივაზე (მარკისის არქიპელაგი). ცოლქმარმა უარყვეს ცივილიზაცია. საცხოვრებლად ქოხი ამოირჩიეს, ფეხშიშველები დადიოდნენ, ჭამდნენ, რასაც ბუნება უბოძებდათ (ტურმა საათიც კი გატეხა და დროს მზეზე და ვარსკვლავებზე დაკვირვებით ადგენდა), მხოლოდ დანა და თუჩის ქვაბი დაიტოვეს.

მათი ხშირი სტუმარი იყო ადგილობრივი მცხოვრები მოხუცი ტეი ტეტუა, რომელიც გატაცებით ჰყვებოდა პოლინეზიელთა ღმერთისა და ბელადის — ტიკის შესახებ: „ტიკი ღმერთიც იყო და ბელადიც,

მან მოიყვანა ჩემი წინაპრები ამ კუნძულებზე. ძველად კი დიდ ქვეყანაში ვცხოვრობდით, შორს, ზღვის გადაღმა“.

ტურ ჰეიერდალი ყურადღებას აქცევს კუნძულზე აღმართულ უზარმაზარ ქვის გამოსახულებებს. ისინი ძალიან ჰგვანან სამხრეთ ამერიკაში უძველეს კულტურულ ადგილებში შემორჩენილ ქვის გოლიათებს. მისთვის აშკარა ხდება, რომ პოლინეზიის მცხოვრებთა კულტურული დონე აქ შემორჩენილ მატერიალურ კულტურასთან შეუსაბამობაშია. მაშ, ვისი ნახელავია ეს ძეგლები?

ტური აკვირდება ოკეანის დინებებსა და ქარების ქროლვის მიმართულებას. ფატუნივაზე აღმოსავლეთიდან მოგორავენ ტალღები, აღმოსავლეთიდან მოდიან „ფარფატა ღრუბლები“, აღმოსავლეთიდან მოფრინავენ ფრინველები. მასასადამე, პირველყოფილი ადამიანი აღმოსავლეთიდან მოხვდებოდა ფატუნივაზე... ასე იქცა ზოოლოგი ეთნოგრაფად.

ომის შემდეგ ჰეიერდალი ამთავრებს ნაშრომს „პოლინეზია და ამერიკა. ისტორიამდელი კავშირების გამოკვლევა“... ხელნაწერს არავინ კითხულობს. უფრო მეტიც, მის ავტორს არ უჩვენებენ, დასცინიან. აბა, რომელი ჰკუთამყოფელი ირწმუნებს, რომ მარტივი, უბრალო ტიკით შეიძლება წყნარი ოკეანის ათასობით კილომეტრის გადალახვაო.

არ იყო სხვა გამოსავალი, გარდა პრაქტიკული ექსპერიმენტისა. და აი, 1947 წლის 28 აპრილს, პერუს პორტ კალიალოდან აფრა აუშეა ბალის ხეებისაგან შეკრულმა ტიკმა და ას ერთი დღის შემდეგ ჰეიერდალი პოლინეზიის კუნძულზეა. „საუკუნის ერთ-ერთმა ყველაზე თამამმა და ღირსშესანიშნავმა მეცნიერულმა ექსპედიციამ“ (აკად. ი. ობრუჩევი) მიზანს მიაღწია: რომანტიკით სავსე, მხატვრული ენით დაწერილმა წიგნმა — „მოგზაურობა კონ-ტიკით“, ტურს საკმაო სახსარი გაუჩინა ახალი ექსპედიციების მოსაწყობად. ის აწარმოებს არქეოლოგიურ გათხრებს გალაპავოსისა და ადღგომის კუნძულებზე.

1969-70 წლებში მსოფლიო პრესის ყურადღების ცენტრში კვლავ მოექცა ტურ ჰეიერდალი, რომელმაც მოაწყო ატლანტის ოკეანის გადაცურვა პაპირუსის ღეროებისაგან შეკრული ხომალდებით.

მოუსვენარი კაპიტანი ბევრს მოგზაურობს. რომელ ქვეყანაში არ ნახავთ მას. რგი ყველგან და ყველასათვის სასურველი სტუმარია. 1962 წლის 2 მაისს ტურ ჰეიერდალი საქართველოში, თბილისში ჩამოვიდა.

აერობორტში შევხვდით ლეგენდარულ კაპიტანს. ნაცრისფერ პიჯაკში იყო გამოწყობილი. ხმელ-ხმელი, წითური ტურ ჰეიერდალი გულდია და საოცრად თბილი ადამიანი აღმოჩნდა.

მეორე დღეს, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომლები გულთბილად შეხვდნენ სასურველ სტუმარს. ტურ ჰეიერდალი დიდი ინტერესითა და გულისყურით გაეცნო ჩვენი ეროვნული საგანძურის უნიკალურ ექსპონატებს. სტუმარს განმარტებას აძლევდნენ აკადემიკოსები ალ. ჯავახიშვილი და ვ. ბერიძე. ტურ ჰეიერდალი გაეცნო თბილისის უნივერსიტეტს, მის თანამშრომლებსა და სტუდენტ-ახალგაზრდობას.

მეორედ მას შევხვდით მოსკოვში, ანთროპოლოგთა და ეთნოგრაფთა VII მსოფლიო კონგრესზე 1964 წელს, 5 აგვისტოს. ტურ ჰეიერდალს საჩუქრად მივართვი გამომცემლობა „ნაკადლის“ მიერ დასტამბული მისი წიგნი „კონ-ტიკით მოგზაურობა“. ძალზე გაიხარა და დასძინა: ყოველთვის კარგად გამახსენდება თბილისი.

— აპირებთ კვლავ საქართველოში ჩამოსვლას? — ვეკითხები.


— ძალიან დატვირთული ვარ, მაგრამ თუკი საშუალება მომეცემა, დიდი სიამოვნებით ვეწვევი თბილისს. ჯერჯერობით სამუშაო ძალზე ბევრია; ერთი წიგნი სტამბაშია, მეორე სამელნეში, მესამე კი — თავში. შემდეგ თვითონ ამოიღო სუფთა ფურცელი და ჩვენი ახალგაზრდული ჟურნალის „ცისკრის“ საშუალებით კეთილი სურვილები გადასცა საქართველოს.

ტურ ჰეიერდალი მსოფლიოს უჩვენა, რომ ადამიანი არის სამყაროს ბატონ-პატრონი, რომ მისთვის არ არსებობს გადაულახავი სიძნელებები, რომ ჰეიერდალი დასადგენად საჭიროთა თავდადება და დიდი შრომა. ტურ ჰეიერდალს სჯერა, რომ „კაცობრიობის ბედს გადაწყვეტენ არა ხალხები, რომლებიც იბრძვიან, არამედ ისინი, რომლებიც ერთობლივად შრომობენ... აი რატომ ვართ ვალდებულნი ჩვენ გავაკეთოთ ყველაფერი, რომ არა რაკეტებმა და ჭურვებმა, არამედ მეგობრულმა ხელმა გადალახოს ჩვენი გამყოფი ბარიერები“.

დიდხანს სიცოცხლე და ახალი გამარჯვებები ვუსურვოთ მშვიდობისმოყვარე, მოუსვენარ კაპიტანს.

გურამ განიტაშვილი,

ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი.



რეზო ჭიჭილი

სპექტაკლი კარგა ხნის დაწყებული იყო. მოხუცი კაზაკის ტანსაცმელში გამოწყობილი კოტე ქორელი კულისებში ცხელ რადიატორს ზურგიით მიყრდნობდა და თვლემდა. იცოდა, სცენაზე გავლის დრო მოვიდა. მალე ინსპექტორი გამოჩნდებოდა და სტატისტებს ლანძვავინებით (ქორელს ვერ შეეხებოდა) გაყრიდა სცენაზე.

კოტე ქორელი არ ჩქარობდა, არც ლელავდა და რაღა ლაპარაკი უნდოდა, არც ნერვიულობდა. ბოლოსდაბოლოს სულ ერთი იყო, გავიღოდა სცენაზე, თუ აქ დარჩებოდა სპექტაკლის დამთავრებამდე. კოტეს შეეძლო, სულაც არ გამოცხადებულიყო, მის ტანსაცმელს რომელიმე დამხმარე არტისტს გადააცვამდნენ და ამით შორჩებოდა ყველაფერი. ეს კი იყო, იმ ალაგას, სადაც კოტე ქორელი იძახდა „ჰოპ“ — სხვა ხმასაც ვერ ამოიღებდა. ამის უფლებას ყველას, უფრო სწორად ქორელის გარდა არავის აძლევდნენ, რადგან ეს „ჰოპ“ არაფერ შუაში არ იყო იმ ამბავთან, რაც სცენაზე ხდებოდა.

თეატრალური სეზონის მიწურული ვახლდათ. ქორელი რამდენიმე პიესის ეპიზოდურ როლში იყო დაკავებული და ერთი სპექტაკლის მასიურ სცენაშიც მონაწილეობდა. სხვებისაგან რომ გამოჩეხულიყო, რისი უფლებაც კარგა ხნის წინ ჰქონდა მოპოვებული, ერთ ადგილზე იძახდა „ჰოპს“. ეს იყო და ეს. ეს შორისდებული სპექტაკლს არაფერს მატებდა, თუმცა არც არაფერს აკლებდა. კოტე ქორელმაც მშვენივრად იცოდა, ასე რომ იყო და ამიტომ ხან ხალისიანად იძახდა ამ „ჰოპს“, ხან ისე, თავისთვის ამოიხრებდა. ხასიათზე იყო ყველაფერი დამოკიდებული.

იანვარი იყო. გარეთ თოვლი იდო. ღამ-ღამობით მთვარე ამოდიოდა და ყინავდა.

კოტე ქორელს ისე გათბობოდა ზურგი და წელი, რომ განძრევა ეზარებოდა. რამდენიმე ფარდის მიღმა იყო სცენა, დარბაზი და სიცივე. კულისებისა და მაცურებლის ზღვარზე — სცენაზე გადაბიჯება არ უნდოდა. იქ, იმ მიჯნაზე, გუფთა, მაგრამ ცივი ჰაერი უბერავდა. მოხუცს კი მუყაოს დეკორაციების, წებოს და ფარდების სუნით გაქლენილი ჰაერი უნდა ესუნთქა. სანამ ამ ჰაერით ფილტვები არ ავესებოდა, შინ წასვლას ვერ შეძლებდა, ვერ დაიძინებდა, ვერც მოკვდებოდა.

თვალეზდახუჭულ კოტეს რაღაც ახსენდებოდა, სახეზე დროდადრო ღიმილი გადაურბენდა ხოლმე. რა აგონდებოდა? რა აწუხებდა? რაღა არა. მოსაგონარსა და სადარდებელს ცოცხალ ადამიანს რა დაუღევს.

გასულ წელს კოტე ქორელს სცენაზე სამსახურის ორმოცდაათი წელი აღუნიშნეს. საღამომ კარგად, როგორც ახლობლებმა თქვეს, თბილად და მხიარულად ჩაიარა. კოტე მეტს ელოდა, თუმცა იმდენიც არ სჭირდებოდა. ხანდახან უკვირდა კიდევ, რატომ გაუმართეს ის საღამო. კაცი თეატრში ცოტა ხანს ითამაშებდა თუ დიდხანს, რა მნიშვნელობა ჰქონდა.

„დაფასებამია საქმე!“
იმ საღამოს კოტემ უკანასკნელად შეასრულა თავისი საყვარელი როლი — თავადი კოწია.

თეატრი ხალხით იყო გაჭედილი. ქორელი გრძელი ჩოხითა და ბოხობით შემოფართხუნდა სცენაზე; ტაშისა და სიცილის კორიანტელში შემოვარდა.

— ჰოპ, ჩემი ცხენი, ჩემი სიძე, ჰოპ!..
ეს „ჰოპ“ კოტეს საკუთრება იყო. ახლობელი მსახიობები ცდილობდნენ ხოლმე, იმგვარივე ინტონაციით წარმოეთქვათ ის სიტყვა და კოტესათვის დაეცინათ. მათი განცხადებით — მიებაძათ, მაგრამ არაფერი გამოსდიოდათ. კოტეს ნათქვამს სულ სხვა მარტილი და ეშვი ჰქონდა. ქორელი ამ შორისდებულის გარეშე არ არსებობდა. იმ საღამომაც დადასტურა ეს ჭეშმარიტება. კოტე ხვდებოდა, მთავარ როლს რომ უკანასკნელად ასრულებდა და უკანასკნელ ენერგიასაც იქ ხარჯავდა. დაიხარჯა და პირობით, უფრო გამოკეთდა. ენერგიის მოზღვავება იგრძნო. მაგრამ ყველაფერი ისევე ისე უგემურად გაგრძელდა იმ დღის შემდეგ. უხალისო ღღეები მიჰყვა ერთმანეთს.

„...ალარც კი უნდა მოვსულიყავი მას შემდეგ თეატრში... დროა... სხვა ამას არ მეტყვის, არ მაკადრებს!..“

როცა იმ სეზონში თეატრში თბილისიდან სავანგებოდ მოწვეულმა ძველმა რეჟისორმა ერთი პიესის როლები გაანაწილა, კოტეს უთხრა, მოხუცი კაზაკს ითამაშებო. ამ უსიტყვო როლის შეთავაზება ქორელს არც წყენია, არც გახარებია. ძველ რეჟისორს კი სწორედ მისი გახარება სურდა, ამიტომ ურჩია:

— ჩემო კოტე, როცა დივიზიის მეთაუ-

რის მისალმებას დააპირებენ, პირველად თქვენ ამოიღეთ ხმა, ერთი თქვენებურად დაიძახეთ, ჰოპ!.. შემდეგ დანარჩენებიც აგყვებიან. გასაგებია, არა?!

— დიახ, — უპასუხა მოხუცმა მსახიობმა და ისე გაიღიმა, თითქოს დიდად კმაყოფილი და ნასიამოვნები დარჩა.

იმ საღამოს რეჟისორმა და კოტე ქორელმა ერთად ივანშემეს, ისაუბრეს, ძველი დრო გაიხსენეს, რეჟისორი უმცროსი იყო, კოტე ქორელმა მეტი იცოდა, მეტი ახსოვდა, მხოლოდ ხანდახან ყველაფერი ავიწყდებოდა, ყველაფრისაგან თითქმის ხოლმე და მის მეხსიერებას ხავერდის დამტვერილი ფარდა ეფარებოდა. ამ დროს იგი ღუშდა, ფიქრობდა. შემდეგ ამოიხრებდა და დაატანდა:

— ო, რა ხალხი წავიდა!
— გახსოვს „ისმინე, ისრაელ“ — შეეკითხა რეჟისორი.

— როგორ არ მახსოვს... მაშინ ახალგაზრდა ვიყავი და ბებერ ებრაელს ვთამაშობდი, ლადო მესხიშვილი კი ყმაწვილ კაცს ასრულებდა... ჩემზე ბევრად უფროსი კი იყო, რასაკვირველია, უფროსი იყო, ბევრად...

კოტე დაღუშდა, მაგიდას დაშტერდა. რეჟისორს ისევ უნდოდა ეკითხა რაღაც, მაგრამ კოტემ მოულოდნელად წამოიწყო.

— მე შმაგას ვთამაშობდი, ლადო — ნეზნამოვს... ხლესტაკოვს ვთამაშობდი, მერე ოსიპს, საიდან სად?.. მე და ვასო აბაშიძე ვენაცვლებოდით ერთმანეთს... პლატონ კრეჩეტს ვთამაშობდი, თუმცა ეს სულ აგერ იყო, ხუმარას ვთამაშობდი „მეფე ლირში“... გახსოვს, სუმბათაშვილი იუყინი რომ ჩამოვიდა?... ასე მგონია, გუშინ იყო-თქვა ყველაფერი... არადელი-იშხნელი გახსოვს?.. რა ხალხი წავიდა, ბიჭო!

— ბატონო კოტე, გავდივართ, — დაიძახა რეჟისორის თანაშემწემ, გამხდარმა, მაღალმა კაცმა კოკი ქვარიანმა. იგი აღრე ცეკვში მუშაობდა კალკულატორად, ბოლო დროს მამის ხელობას გაყვა, ხელოვნების სიყვარულმა დაძალა. მამამისი უპრეტენზოდ მიიცვალა და თვითონ კოკიმ გვარიშვილობით გამოიღო თავი: ბაბუაჩემი ქუთაისის არქივისკომოსი იყო. შეიძლება იყო კიდევ.

კოტე ქორელი გამოფხიზლდა და სხვა კაზაკებთან ერთად გავიდა სცენაზე. ბოლოში დადგა. ხის სახლის კიბის მოაჯირს დაადო ხელი და დარბაზს გადახე-

ჰოპ!

მკვირცხლად შემოვარდა დივიზიის მე-
თაური. დარბაზს თვალი გადაავლო მალულ-
ლად და ალტაცებაც გაუხელდა. ამ როლს
ახალგაზრდა მსახიობი განასახიერებდა.
კოტე ქორელი ორმოცდაათი წლის წინ
იყო დაახლოებით ამ ხნის. მაშინ იგი შმა-
გას თამაშობდა, ლადო მესხიშვილი — ნე-
ზნამოვს.

„სცენაზე მთვარიანი ღამე იყო... მე ვი-
ყავი შმაგა... ლადო — ნეზნამოვი... ჩარ-
კვიანი... ვინ იყო კიდეც, ღმერთო, შენ გა-
მასხენე!“

კახაკები მიესალმებიან დივიზიის მეთა-
ურს. ახლა კოტემაც უნდა დაიძახოს
„ჰოპ!“ ამდენ ხანსაც უნდა დაეძახა. ახალ-
გაზრდა სტატისტმა ხელი გაჰკრა. კოტე
გამოერკვა, მაგრამ ხმა არ გაუღია. დივი-
ზიის მეთაურმა გაუღიმა და მაყურებლისა-
კენ ზურგმეჭყეულმა მოხუც კახაკს თვალი
ჩაუკრა.

ქორელს ისევ შესცივდა. ტანში გააყ-
რჟოლა.

„ყინავს ეტყობა, გარეთ... ციება ხომ
არა მაქვს!“

თვალეები მოჭუტა. საფეთქლებთან რა-
ღაც აუბზუილდა. არ წავიქცეო, შეეშინ-
ნდა და კიბის რიკულს ჩასჭიდა ხელი. გა-
ჩახჩახებულმა სინათლემ მოსჭრა თვალი.
დარბაზი ხალხით გადაჭედლიყო. პარტე-
რში და ქანდარებზე ტევა აღარ იყო. კოტე
ხედავდა გიმნაზიელებს. ფრაკიან მამაყა-
ცებს, ლორწეტებიან ქალბატონებს, ხანჯ-
ლიან თავადებს. სცენის სიღრმიდან გრძე-
ლჩოხიანი კაცი შემორბის. ეს თავადი კო-
წიაა. კოტე გრძობს, ადგილზე რომ დგას
და მაინც თავადვე შემორბის.

... იმასაც გრძობს, დივიზიის მეთაური
რომ ოხუნჯობს და სადაცაა ფარდა დაეშ-
ვება. ბოლო მოქმედებაში მოხუცი კახაკი
საჭირო აღარ არის. ბოლო მოქმედებიდან
უნდა წავიდეს იგი. მარტოდმარტომ უნდა
იაროს სახლამდე ყინვაში. შემდეგ მოვა
კიდეც აქ? ვინ იცის.

„...ეს ჯანმრთელობაზეა დამოკიდებუ-
ლი, სურვილზეც... ბოლოსდაბოლოს
ხომ დადგება ჩემი აქ დგომის უკანასკნე-
ლი დღე!“

დივიზიის მეთაური კვლავ ოხუნჯობს.

და. რამბების შუქზე ამოღამებულმა თვა-
ლებმა ყველაფერი იმწამსვე გაარჩია.

უზარმაზარი თეატრი სანახევროდ იყო
სავსე. პარტერში აქა-იქ ისხდნენ. იარუსე-
ბი სტუდენტ-მოსწავლეებს და შემთხვევით
შემოსულ ხალხს გაეგო. უმეტესობა
წვერგაუპარსავი ჩანდა. ბევრს რეზინის
ჩექმები ეცვა და პიჯაკს შიგნით სქელი
შარფები ჰქონდათ ჩაფენილი. სულ ზედა
იარუსზე ვილაცას პალტოთი შემოსვლა
მოეხერხებინა. პალტო ბეჭებზე ჰქონდა
მოხურული, ქუდი მოაჯირზე ედო. არც
ისე ციოდა, მაგრამ ამ ხალხს გარედან შე-
მოჰქონდა სიცივე. იბუზებოდნენ და წარ-
მოუდგენელი გულგრილობით უყურებდ-
ნენ სპექტაკლს. არავითარი ჩურჩული და
ხმაური, ზოგიერთს თითქოს დამთხნარებაც
კი ეზარებოდა.

კოტე მაყურებლებსა და თეატრს შორის
იდგა. იმ შუალედში გრილოდა და კოტეს
შესცივდა.

„... გარეთ რა იქნება ახლა!.. შეიძლება,
აწი ვეღარც კი მოვიდე... ბოლოსდაბოლოს
ხომ დადგება ჩემი აქ ყოფნის უკანასკ-
ნელი დღე!“

კახაკები და მაყურებლები უგულოდ იცი-
ნებნენ. კაცი, რომელსაც პალტო ჰქონდა
მოხურული და ქუდი მოაჯირზე შემოდ-
ბული, წასულა.

— ჰოპ! — დაიძახა მოულოდნელად კო-
ტემ.

დივიზიის მეთაურს და დანარჩენ მსახი-
ობებს სიცილი წასკდა, ხალხმა რაღაც იყ-
ნოსა და დარბაზს გამოცოცხლება დაეტყო.

— ჰოპ! — კიდეც დაიძახა კოტემ და წინ
გამოვიდა.

— ჰოპ! ჰოპ! ჰოპ!..

თავშუთავებელი სიცილი ატყდა სცე-
ნაზევე. სცენის მუშები და დამხმარე პერ-
სონალი კულისებს მიაწყდნენ. ლიტერის
ლოყაში მარტოდმარტო დარჩენილმა
ძველმა რეჟისორმა სათვალე გაიკეთა.

— ჰოპ! ჰოპ! ჰოპ! ჰოპ! ჰოპ! ჰოპ! ჰოპ!

— ისმოდა კიდეც კარგა ხანს.

ახლა უკვე მთელი თეატრი იცინოდა.
დივიზიის მეთაურმა თავი გულარ შეიკავა
და ზურგის ფარდებში გაიხლართა.

ფარდა დაიხურა და ერთი წუთით ყვე-
ლაფერი მიწყნარდა. შემდეგ მოულოდნე-
ლად ტამისცემა ატყდა. თავგამოდებით
უკრავდნენ ტამს აქა-იქ. ერთნი უკრავდ-
ნენ, მეორენი ტამისმცემლებს მისჩერე-
ბოდნენ. რა მოხდა.

— ქორელი, ქორელი! — იძახოდნენ მე-
ორე იარუსიდან.

ფარდა ისევ გახსნეს. სცენაზე დარჩენი-
ლი მსახიობებიც ტამს უკრავდნენ. კო-
ტე ნელა გამოვიდა და დაბნეულმა გადაი-
ხადა მადლობა.

ძირს თოვლი იდო. ყინავდა. მოწმენდილ
ცაზე ვარსკვლავები ჩანდა.

კოტე ქორელს გაცვეთილი კალოშები
ეცვა და ტროტუარზე ფეხი უკურდებოდა.
თხელი პალტოს სახელოებში ჰქონდა ხე-
ლები შემალული. შლიაპაჩამოფხატული
და დაფიქრებული მიჩოჩავდა შინისაკენ,
აღარ აგონდებოდა ლადო მესხიშვილი,
შმაგა და ნეზნამოვი. ფიქრობდა წარსუ-
ლზე, ზვალინდელ დღეზე, მამაზე, ღარიბ
სცენისმოყვარეზე, გარდაცვლილ ცოლზე
და საკუთარ შვილებზე. სამი შვილი ჰყა-
ვდა კოტეს და ამდენივე შვილიშვილი.
არც შვილები დადიოდნენ თეატრში, არც
შვილიშვილები. მამასაც კი უშლიდნენ იქ
სიარულს — სახლში იყავი, რაღა დროს
შენი თეატრიაო.

„... კარგი, სცენა არ გიყვარს, ვთქვათ,
მარა თეატრში ხომ უნდა წახვიდე ხანდა-
ხან. ვალდებული ხარ ბოლოს და ბოლოს,
არადა, თეატრში გავზარდე სამთავენი.
თეატრში გვექონდა მე და მაროს ოჯახი. რა
ვინდა თეატრშიო, მე მეუბნებიან. ქვეყანა
პატივს მცემს... მაგათ ის ხომ არ ვგონი-
ვარ!..“ — კოტეს ფეხი დაუცურდა და ყი-
ნულზე ჩაჯდა. საჯარო ბიბლიოთეკიდან
გამოსულმა აძაგდავებულმა სტუდენტმა
ხელი შეაშველა და ადგომაში დაეხმარა.

— შენ აგაშენა, ბიძია, ღმერთმა! —
უთხრა კოტემ, თავისივე სახლის შესა-
ხვევთან გაჩერდა. სტუდენტმა ალაყაფამ-
დე მოაცილა. კოტემ ხელმეორედ გადაუ-
ხადა მადლობა.

— ასეა, ასეა! — ხელების ორთქლებით
უთხრა სტუდენტმა და ძაგდავით წავიდა.

რა იყო ასე, კოტემ ვერაფრით ვერ გა-
იგო.

ჰიშკარში რომ შედიოდა, სველ საჯდომ-
ზე მოისვა ხელი.

— მართლა ასეა და რას იზამ! — გაიცი-
ნა მან და უკან მოიხედა, ხომ არავინ მი-
ყურებსო.



ყველა წალენჯიხელი — დიდი თუ პატარა, მაცხოვრის ეკლესიისაკენ მიიჩქაროდა. მიდიოდნენ ქვეითად, ავტომანქანებით — ვისაც როგორ მოუხერხებოდა და გროვდებოდნენ მთის ვაკე-მინდორზე აღმართულ ლამაზი, თლილი ქვისაგან ნაშენი გუმბათოვანი ეკლესიის გარშემო.

ელოდნენ სტუმრებსაც, უცხოელებს კი არა, წალენჯიხის მკვიდრებს, ოდესღაც აქაურებს, აქაური გლენჯიხის ნაშეირებს, მაგრამ დროთა ვითარებაში საქართველოს დიდ ქალაქებში მიმოფანტულებს, მეცნიერებისა და კულტურის სარბიელზე სახელმძღვანელოებს.

ისინიც მატარებლიდან ჩამოსვლისთანავე პირველად მიემუხრებოდნენ შევიხრებების დიდ მარათონში გამარჯვებული შრომითი კოლექტივების — ორდენოსანი ჩაის საბჭოთა მეურნეობის, პირველი მაისის კოლმეურნეობის, ჩაის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებთან შესახვერად.

მოშუადღევებულზე ყველა მათგანი — სტუმარიცა და მასპინძელიც, საყდრის გალაგანთან თავმოყრილ თანამემამულეებს შეუერთდა. მოზღვავებული ხალხი რაღაც ახლისა და მნიშვნელოვანი ამბის ვაგების მოლოდინში გაინაბა. მიკროფონში გაისმა ყველა იქ მყოფისათვის ნაცნობი ხმა. პარტიის წალენჯიხის რაიკომის პირველი მდივანი რაულ ჯახია დინჯად და აუჩქარებლად, მაგრამ შინაგანი მღელვარებით ამბობდა:

— ამ წმინდა ისტორიულ ადგილას ჩვენი თავშეყრა, წარსულის სიდიადის აღნიშვნა და თანამედროვეობის ცხოვრებისეული გამოცდილებით გამრავალფეროვნება ხვალინდელი დღის სასიკეთოდ ხდება. გადავწყვიტეთ, წალენჯიხის მაცხოვრის ტაძრის ბაზაზე შევქმნათ მრავალპროფილიანი სახალხო უნივერსიტეტი.

ითქვა თუ არა ეს სიტყვა, მაღალ სამრეკლოში ახმინდა დიდი ხნის დაღუპებული ზარი. ამ ზარის რეკვაზე მორწმუნენი ძველად პირველად ისახავდნენ, ლოცვა-კურთხევას ალავლენდნენ ცად... ამჯერად კი ყოველი აქ დამსწრე ტაშს უკრავს, რითაც იწონებს და თავის ხმას უერთებს ამ გონივრულ გადაწყვეტილებას — ეკლესიის უნივერსიტეტად გადაკეთებას.

ზარი კვლავ გუგუნებს, ერთ დროს მათწყებელი კვირის წირვებისა, ახლა კი სახალხო უნივერსიტეტის გახსნისა. ზარის ხმაში მოთქვამს შორეული წარსული და ქედის ხვალინდელი დღის სიმფონია. ასე ეფუძნება აწმყო წარსულს და



გეორგია სოსოსელი

ელიზბარ უბილაძე

ორივე ერთად — დიდ მომავალს.

ეს მომავალიც ავერ კარს მოგვდგომია. ეკლესიის შიგნით — ნუსხახუცური ასოების ქარაგმული წარწერებისა და ფრესკების ფრაგმენტებით აჭრელებულ კედლებს შორის იმართება სამეცნიერო საბჭოს არჩევნები და ახალარჩეული საბჭოს პირველი დამფუძნებელი სხდომა.

ეკლესიის ამბიონზე, სადაც მღვდელმთავრები თავიანთ მრევლს სარწმუნოებისადმი ერთგულებასა და მორჩილებას შთააგონებდნენ, დგას ლექტორ-მასწავლებელთათვის საგანგებოდ გამოჩარხული კათედრა, საიდანაც სამადლობელ სიტყვებს წარმოთქვამენ ახალარჩეული რექტორი და პრორექტორი ვალერი ქირია და ვაჟა აკობია. პირველ ლექციას კითხულობს ისტორიკოსი ალექსანდრე მიქავა. გაისმის სტუმარ-მასპინძლის გულში-ჩამწვდომი, სამომავლო ფიქრებით გაჭერებული სიტყვები.

გარეთ კი ზეიმი კვლავ მძლავრობს და იქვე მახლობლად, სამცაცხვის შემოგარენში გადაინაცვლებს, სადაც მშობლიური ხალხის წინაშე შემოქმედებითი თვითანგარიშით უნდა წარსდგნენ წალენჯიხელი ინტელიგენტები — მეცნიერები, მწერლები, ხელოვნების მუშა-

კები, დღეს რომ ჩამოსულან საქართველოს სხვადასხვა ქალაქებიდან. მშობლიური ალერსითა და მოწონების გამომხატველი ღიმილით შეხვდა ხალხი მისი ბუდიდან აფრენილ, უკვე დაღვინებულ და დაბრძენებულ ადამიანებს, კულტურისა და მეცნიერების დიდ აღმართებს გულდაჭერებულად და შეუპოვრად რომ შესდგომიან.

მათს გამოსვლებში, მასპინძელთა სიტყვებში დიდი სიყვარულით იქნა მოხსენიებული ის ადამიანები, რომლებმაც თავიანთი შემოქმედებითი და მეცნიერული აღმოჩენებით ასახელეს მშობლიური მიწა-წყალი. ბევრი თბილი სიტყვა ითქვა დიდი მწერლების ლეო ქიჩინელის, ტერენტი გრანელის, აკადემიკოსების ტარასი კვარაცხელიას, ეგნატე ფიფიას, აღიარებული პარტიული მუშაკის კალისტრატე შეროზიას, კინორეჟისორის ნიკოლოზ შენგელაიას, პროფესორების გური თვალთვაძის, შოთა მესხიას და ომში დაღუპული პოეტის ვლადიმერ უბილაძის მისამართით.

ბევრი რომ ითქვა იმ დღეს წალენჯიხაზე, რომელმაც ქალაქის სტატუსი ოციოდე წლის წინათ მიიღო, მაგრამ ლაღად გაშალა ფრთები და ასაკით მასზე უფროს ქალაქებს შე-

ეჯიბრა წინსვლასა და შენებაში. ბევრი რომ საგულისხმო ითქვა წალენჯიხის ისტორიულ ეკლესიაზე, რომელზეც ტერენტი გრანელი პირდაპირ შეყვარებული ყოფილა. ბავშვობაში დედინაცვალი ამ ეკლესიაში დაატარებდა მომავალ პოეტს კვირის წირვებზე და, როცა დავაქაცებულა, დედინაცვლისადმი პატივისცემა სონეტით გამოუხატავს: „მამის საფლავთან ავატირებს ტკბილი წარსული, სპეტაკ ცრემლებში დაეხვევი, როგორც ბაწარი, გიყვარს ლოცვებში წალენჯიხის ძველი ტაძარი, წვიმიან დღეში სსაფლაოს წყრომით გარს უვლი“.

რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ლეო ჭედიამ და ცნობილმა პოეტმა შოთა აკობიამ ხალხს მოაგონეს წალენჯიხისა და მისი სახელგანთქმული ეკლესიისადმი მიძღვნილი ტერენტი გრანელის სხვა ლექსებიც.

მრავალრიცხოვან გამოსვლებში არც ვახუშტი ბაგრატიონი იქნა დავიწყებული, რომელსაც წალენჯიხასა და მის ეკლესიაზე მოხდენილად უთქვამს: „ზუგდიდის აღმოსავლეთით მთის ძირზედ არის ჭელენჯიხი, ეკლესია გუმბათოვანი, დიდშენობა, მშვენიერი: კეთილს ადგილას ზის ევისკოპოსი, მწყემსი ჭანის მდინარისა და დაღის მდინარისა“.

მარტვილისა და ხობის ტაძრებთან ერთად წალენჯიხის მაცხოვრის ეკლესიას დიდი როლი მიუძღვის ქართულ ჰაგიოგრაფიული და საერო ლიტერატურული ძეგლებისა თუ საეკლესიო თხზულებათა ხელნაწერი ნუსხების გადაწერასა და გამრავლებაში. ეს დოკუმენტურად დადასტურეს სახელოვანმა მეცნიერებმა მარი ბროსემ და ექვთიმე თაყაიშვილმა, რომლებმაც რევოლუციამდე სხვადასხვა დროს მოინახულეს და მეცნიერული სიზუსტით აღწერეს ამ დიდებული ეკლესიის ფრესკული მხატვრობანი, ეკვდრები, კედლებისა და ჯვარ-ხატების შემკულობანი თუ მათი ქარაგმული წარწერები.

ამ მეცნიერთა მტკიცებით ეკლესია მეთექვსმეტე საუკუნეებში აშენებულია. სამეგრელოს მთავარს ვამეყ პირველ დადიანს (1384-1396) კონსტანტინეპოლში გაუგზავნია ბერები: მახარობელ ქობალა და ანდრონიკე ვაბისულავა. მათ ჩამოუყვანიათ მხატვარი კირმანუელ ვეფინიკოსი, რომელსაც პირველად მოუხატავს ეს ჩინებული ეკლესია. მას შემდეგ მხატვრობა რამდენიმეჯერ განახლებულა. ახლა ამ მხატვრობისა ფრაგმენტებილია შემორჩენილი. საკურთხევლის ცაში მოჩანს მშვენიერი სურათი ღვთისმშობლისა, რომელსაც სავდრებლად ხელობი აქვს აშუქრილი. მას მარჯვნივ უდგანან წმინდა პეტრე და მიქელ მთავარანგელოზი, მარცხნივ — წმინდა პავლე და გაბრიელ მთავარანგელოზი.

ეკლესიას სამი ეკვდერი ჰქონია: ლევან დადიანისა, მანუჩარ დადიანისა და აღმოსავლეთისა. შიგ ესევნა ოქროთი და მინანქრებით შემკული ხატები მაცხოვრისა, ჯვარცმისა, ღვთისმშობლისა, ეკლესიებშივე ყოფილა სირმით ნაკერი დაფარბა, რომლის წარწერა იუწყებოდა:

„მოიხსენიე, უფალო, ჯვარის მამა ნიკიფორე კახი სასუფეველსა შენსა. დამიფარენ, ღმერთო, საფარველითა ფრთეთა შენთათა ყოვლადვე, ამინ, ამინ და კირიელეისონ“.

აქ მოხსენიებული „ჯვარის მამა ნიკიფორე კახი“ აღმოჩნდა ნიკიფორე ომანის ძე ჩოლოყაშვილი, ცნობილი მოღვაწე მეჩვიდმეტე საუკუნისა. ნიკიფორეს ერთ დროს არქიმანდრიტად უმუშავია წალენჯიხის მეზობელი სოფლის კორცხელის ეკლესიაში. მერე წასულა იერუსალიმში, სადაც ლევან მეორე დადიანის შემწეობით განუახლებია და მოუხატავს ქართველთა ჯვრის მონასტერი. იგი მრავალჯერ ყოფილა რუსეთში, სპარსეთში და ევროპის მრავალ ქვეყანა-

ში. კახეთის მეფე თეიმურაზ პირველს 1626-1629 წლებში ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი ელჩად გაუგზავნია დასავლეთ ევროპაში. იგი ხელს უწყობდა ქართული სტამბების დაარსებას და ეხმარებოდა სტეფანე პაოლინის ქართულ-იტალიური ლექსიკონის შედგენაში, რომელიც 1629 წელს გამოცემულა ქალაქ რომში. შემდეგ მას მიუღია კათოლიკობა და იწოდებოდა ნიკიფორე ირბიხად. გარდაცვლილა 1658 წელს.

წალენჯიხის მაცხოვრის ეკლესიამ შემოგვინახა ქეთევან დედოფლის (წამებულის) ოქროს ჯვარი. როგორც ახლა უკვე დადასტურებულია, ეს ჯვარი თან ჰქონია ქეთევან დედოფალს სპარსეთში წამების დროს, 1624 წელს. ოქროთი მოჭედილი, ფირუზითა და ძვირფასი ქვებით შემკულ ქეთევანისეულ ჯვარზე წარწერილი ყოფილა: „წ. ორნატო თავწარსხმულო, რომელმან იგი გამოიღე ტევანი წმინდა მყოფელი, გიურგინთა გიმკობ, გიურგინო, გამოცდილსა მშობელსა, თუნიერ მამაკაცისასა, დავით დაიცვა, ქეთევან გვედრები“.

როგორ მიიზდა ქეთევან წამებულის მიერ სპარსეთში ნაქონი ჯვარი წალენჯიხის ეკლესიაში? ქეთევანის წამების შემდეგ მიტროფანე ალავერდელს ისპაჰანში დაუხსნია ეს ჯვარი და იქიდან გამოქცეულს ორიშში ლევან მეორე დადიანისთვის შეუფარებია თავი. ალავერდელს ოდიშში უცხოვრია, იქვე გარდაცვლილა და სპარსეთიდან ჩამოტანილი ისტორიული ჯვარიც წალენჯიხის მაცხოვრის ეკლესიაში დარჩენილა.

რად ღირს თუნდაც იმისა აღწუხება, რომ დიდმნიშვნელოვან საეკლესიო თხზულებას „ოთხთავს“ ექვთიმე თაყაიშვილმა სწორედ წალენჯიხის ეკლესიაში მიაგნო რაფაელისა და მანასეს მიერ იქვე გადაწერილს ლევან მეორე დადიანის ბრძანებით.

წალენჯიხის ეკლესიაში იჭდა ეპისკოპოსი და დიდი კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა სწარმოებდა. ეკლესიასთან შექმნილი ყოფილა სამრევლო სკოლა, სადაც ისწავლებოდა ისტორია, ბერძული და ლათინური ენები. იქვე პერგამენტზე გადაწერილა „ვეფხისტყაოსანის“ არაერთი ნუსხა და საეკლესიო თხზულებანი.

ასეთი ისტორიული მნიშვნელობის მქონე ეკლესია წალენჯიხისა ამიერიდან მეორე სიკოცხლეს იძენს. ამ მრავალსაუკუნოვანი ისტორიული ძეგლის ბაზაზე იარსებებს და იდღეგრძელებს წალენჯიხის სახალხო უნივერსიტეტი.

იჩაქლი ჯსაქსია

75



ქართველმა ხალხმა დიდი პატივისცემითა და სიყვარულით მიულოცა დაბადების 75 წელი თავის გამოჩენილ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს, სოციალისტური შრომის გმირს, რუსთაველის პრემიის ლაურეატს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს — ირაკლი აბაშიძეს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ელუარდ შევარდნაძემ რესპუბლიკის მშრომელთა სახელით მხურვალედ მიულოცა ირაკლი აბაშიძეს დიდებული იუბილე და სამშობლოს კიდევ ერთი საპატიო ჯილდო — ხალხთა მეგობრობის ორდენი.


ამხანაგმა ელუარდ შევარდნაძემ მაღალი შეფასება მისცა პოეტის შემოქმედებით შრომას, მის მეტად თვალსაჩინო წვლილს საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში და მრავალმხრივ საზოგადოებრივ მოღვაწეობას, სულითა და გულით უსურვა დიდი ხნის ჯანმრთელი სიცოცხლე და ბედნიერება.

ამ გულთბილ სიტყვებში გამოიხატა გულისთქმა ერისა, გულისთქმა და მადლიერების გრძნობა ჩვენნი მკითხველი საზოგადოებრიობისა, რომელიც ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში როგორც ახარა წყაროს, ისე ეწაფება თავისი მთავონებული მომღერლის შემოქმედებას.

სასიხარულოა, რომ 75 წლის იუბილარს არ დაუკარგავს შემოქმედის ახალგაზრდული ძალა და ენერგია. პოეტის ახალი ნაწარმოებები მეტყველებენ მის ამოუწურავ, დაუშრეტელ შესაძლებლობებზე, რაც მხოლოდ რჩეულ შემოქმედთა ხვედრია.

უტურნალ „დროშის“ კოლექტივი თავის მრავალათასიან მკითხველთან ერთად უერთდება პოეტის უთვალავი მეგობრისა და თაყვანისმცემლის გულითად მილოცვას, უსურვებს ჩვენს სასიქადულო პოეტსა და მამულიშვილს ახალ ბრწყინვალე შემოქმედებით გამარჯვებებს.







კონსტანტინე გამსახურდია და ირაკლი აბაშიძე.

ირაკლი აბაშიძე, იოსებ ნონეშვილი და გალაკტიონ ტაბიძე.

ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ინდირა განდი და ირაკლი აბაშიძე.

ირაკლი აბაშიძე თავის უმცროს ვაჟი-შვილთან — ვახტანგთან ერთად.

შვილიშვილებთან.



მახარებს, რომ ვესწრები საქართველოს ამ ლამაზი და მაღლიანი კუთხის შკვიდრის, დიდი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის ზეიმიით დაბრუნებას თავის ნააკვნარში.

მახარებს, რომ დღეს, ძველისძველ, ისტორიულ ხონში, დღევანდელ წულუკიძეში, დგას სრულიად საქართველო და ფეხქვეშ ყვავილებს უფენს დიდებულ მგოსანს, გამარჯვებულ შემოქმედს, რომელმაც აქედან კეთილი დედისა და მშობელი კუთხის ლოცვა-კურთხევა წარიტანა დედაქალაქში. ამ ღვთიურმა ლოცვა-კურთხევამ, უბადლო ნიჭმა, შრომამ და მონღომებამ სოციალისტური შრომის გმირის ვარსკვლავით დაგობრუნათ საყვარელი შვილი, საქართველოს უკლებლივ ყველა კუთხის სიამაყე — პოეტი-აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე.

ყველა თქვენგანმა მშვენივრად უწყის, რა დიდებულად, ძველქართველურად გადაუხზა და იუბილე დედათბილისმა ირაკლი აბაშიძეს, რა დიდი პატივი მიაგეს ჩვენს ძვირფას უფროს მეგობარს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მთავრობამ, რითაც მათ მთელი ქართველი ხალხის ნება-სურვილი გამოხატეს.

ასევე ცისფერ ეკრანზე ერთად ვინილეთ ის დაუვიწყარი ზეიმი, რაც სუფევდა საბჭოთა კავშირის დედაქალაქში, მოსკოვში, ირაკლი აბაშიძის საიუბილეო საღამოზე.

ახლა კი ჯერი თქვენზე დადგა, ძვირფასო ხონელებო!

ჯადოსნურად დაიწყო ირაკლი აბაშიძის პოეზიის დღესასწაული წულუკიძის რაიონში. რალა თქმა უნდა, ასევე გაგრძელდება იგი დღესაც და ხვალაც.

მადლობა თქვენ, კეთილო და გულუხვო მასპინძლებო: მადლობა იმისათვის, რომ უსაზღვრო სიყვარულით დააჯილდოვეთ აქ დაბადებული პოეტი და მამულიშვილი.


მადლობა და თაყვანი პოეტის მშობლებს!

სიცოცხლე და დღევანდელი მშობლიური მწერლობის დამამშვენებელს — ირაკლი აბაშიძეს!


* * *

ეს მოკლე სიტყვა მე წარმოეთქვი 1980 წლის 25 აპრილს, წულუკიძეში.

ხუბა პერულავა



ეროვნული
ბიბლიოთეკა



რუსთაველის და ჯ. ნერუს პრემიების ლაურეატი, სოციალის-
ტური შრომის გმირი, პოეტი-აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე.



ქართული
ბიბლიოთეკა



ნანა კობერიძე

გობელონები





ფარშევანგი


მელა ჩისლაძე



ფარშევანგი



ეროვნული
ბიბლიოთეკა




საქართველოს სახალხო არტისტი უნარი ლოლაშვილი.




საკონტრაბასო ხელოვნების ჭეშმარიტი ენთუზიასტი, ადრე საუცხოო სოლისტი, ამიერკავკასიის მუსიკოს-შემსრულებელთა კონკურსის ლაურეატი — თემურ კიკნაძე წლების მანძილზე დიდი მონდომებით მუშაობს აღსაზრდელებთან და სასურველ შედეგებსაც აღწევს. ამაში კიდევ ერთხელ დავვარწმუნა მისი მოწაფის, კონსერვატორიის მეხუთე კურსის სტუდენტ დავით ხანაშვილის კონცერტმა. კონსერვატორიის მცირე დარბაზში საზოგადოების წინაშე წარსდგა დასრულებული პროფესიონალი, რომელმაც მუსიკალურად დახვეწილი ფრაზებით ააუღერა კლასიკური და თანამედროვე სტილის მეტად რთული ნაწარმოებები.

კონცერტმაისტერი ნ. ბუცხრიკიძე.



ახალი ლექსები



ახლახან ჩვენმა ლიტერატურულმა საზოგადოებრიობამ დაბადების 50 წლისთავი გულთბილად მიულოცა ცნობილ პოეტს ტაგუ მეზურიშვილს.

ჟურნალ „დროის“ კოლექტივი და სარედაქციო კოლეგია გულთბილად ულოცავენ ძვირფას მეგობარს მისი ცხოვრების ამ მნიშვნელოვან თარიღს და წარმატებებს უსურვებენ შემდგომ შემოქმედებით მუშაობაში.

ვაჭყენებთ პოეტის ახალ ლექსებს.

ტაგუ მეზურიშვილი

გზადაგზა

ქარია, ბაღში ფრიალებს ბუა,
მაგრამ ცელქ ბიჭებს ვერ აფრთხობს იგი.
კრეფენ კახაბხალს თვალდახელშეუა
და თან მეველეს ზვირავენ ირგვლივ.

მაფიქრებინა მსუბუქმა წყრომამ:
ვიფარებ ა იმ იელებს, შქმერებს,
დაფუცაცხანებ... მაგრამ ჩემს ყრმობას
თვალეში როგორ შევხედო მერე.

რა იციან მოყრანტალე ამ ყვავებმა,
რა იციან მოკვივივე ამ ქორებმა,
თუ რად მიღირს ამ ნიავის დაყვავება,
ამ შუკაში ხისლა ცხენით გაქროლება.

რა იციან მოსივსივე ლაქაშებმა,
რა იციან მობიბინე ველმინდვრებმა,
რომ როგორც კი მომინდება გაბავშვება,
მოდარაჯე ჩემსავ თვალის მერიდება.

აქ მოვსულვარ, როცა ტვირთი ვერ მიზიდავს,
დაღლილს ჯანი აქ ერთბაშად მიმრთელდება,
რომ სოფელში ყოველი დღე მერმისიდან
კი არა და... წარსულიდან მითენდება.

განვი

ვარსკვლავების ბარტყობა
ცაზე უკვე მთავრდება,
აი მთვარეც ამოდის,
მაღე ამომთვარდება.

არც როდის დამთავრდება
ბნელ-ნათელის ეს დავა,
ფეხს იდგამენ ჩრდილები
ფრთხილად, გაუბედავად.

დაბადების მაცნეა
ეგ ნიავის ან ქარის,

წულარ ვიფიქრებთ

წარმავლობაზე, კარგო,
ო, ამდენს
წულარ ვიფიქრებთ. გწამდეს:
ბოლოს მიწაზე ტკაბანს
მოვადენთ,
თუნდაც ავმალღღეთ ცამდე.

მომინანქრდა მდინარე
სინათლის მინანქართ.

თვალს რო ოდნავ დავხუჭავ,
მობრჭყვიალე სიმებად,
თვალეზიდან მთვარემდე
მთვარის შუქი იბმება.

მანვე დღიური შრომით
დამქანცა და დამაშვრო,
ვინც დრო მომცა, ამ ხნის კაცს,
მთვარესთან სათამაშო.

ჩამკიდე ხელი, ჩემო ბებერო,
ჩემი იმედი გქონდეს,
ცას არა,
ხსოვნას გამოვეკეროთ,
აღარ ვიქნებით ოდეს.

არ გაგონოთ!

რა ხანია არ მინახავს ეგ მთვარე,
რა ხანია მთვარეც აღარ მნახულობს...
თქვენ ეგ საქმე არ გეგონოთ სახუმრო,
მე და მთვარე რომ ვეღარ ვცნობთ ერთმანეთს.

რა ხანია ვულალატე ოცნებას,
მივატოვე, ის მაინც არ მლალატობს...
მიმზეურებს ბალიშს ცრემლით დანალტობს
და იარაც ოცნებაში ხორცდება.

თქვენ ეგ საქმე არ გეგონოთ სახუმრო,
მე და მთვარე რომ ვეღარ ვცნობთ ერთმანეთს...
რა ხანია არ მინახავს ეგ მთვარე,
რა ხანია მთვარეც აღარ მნახულობს...

რომ ვკარგავ რამეს და სულს ნაღველი
წამლავს,
თქვენ ასე მამშვიდებთ მუდამ:
შენ კარგად იყავ,
ეგ არაფერი,
არ გაიკარო ტკივილი გულთან.

გლოვად რომ დიან დღენი და თვენი
და ბედისწერა მწირავს და მრიყავს,
ისევ და ისევ ჩამესმის თქვენი:
ეგ არაფერი, შენ კარგად იყავ!

როგორღა ვიყო კარგად, აბა რის
იმედით ვიქნე ისე, ან ასე...
თუ არ ექნება თავშესაფარი
სიკეთის რწმენას ამ ქვეყანაზე.

რა არაფერი, რის არაფერი!
მკლავს თანაგრძნობის ეგ სიიაფე...
გაბრღვენილ ჩიტს ვგავარ და მონაბერი
ქარი ჩემს ბუმბულს სადღაც მიაფრენს.

არ უნდა მევლო

სიყვარულისთვის როცა მეცალა,
ვხეტიალობდი მაშინ მე ცალად...

სიყვარულის დრო რომ აღარა მაქვს
და ვებრძვი ათას დავიდარაბას,

მაინცდამაინც მაშინ მომინდა
ხილი, რომელიც მსურდა ყრმობიდან.

ვერ შეიფარე

აღარ ტოფობენ ორაგულები,
ორაგულების შეწყდა ტოფობა...
ო, რა გულების, ო, რა გულების
ვერ შეიფარე შენ მეგობრობა.

ვის დაეწყვილნენ, ვის დაემგზავრნენ,
სად ბინადრობენ, რომელ ყურესთან?!
ეგ ხმობა — გულით აღმომკვენსარე —
თუ ესმით ახლა, თუ ეყურებათ?!

ჩათავდნენ დღენი რერა-რანუნის,
წყლებიც წავიდნენ და დარჩა ქვიშა,
ვით სინანული, ეს სინანული
იმათთვის ახლა არაფერს ნიშნავს.

აღარ ტოფობენ ორაგულები,
ორაგულების შეწყდა ტოფობა...
ო, რა გულების, ო, რა გულების,
ვერ შეიფარე შენ მეგობრობა.

80-იან წლებში ქართულ მეცნიერებაში საკმაოდ მოიკიდა ფეხი შეხედულებამ, რომლის თანახმადაც ქართველი ერის წარმოშობა-ჩამოყალიბება მოხდა ჩვენს ქვეყანაში კაპიტალიზმის განვითარების პარალელურად. ასეთი მტკიცებისას მკვლევართა ნაწილი გამოდიოდა ი. ბ. სტალინის ნაშრომის — „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხის“ რამდენიმე ადგილიდან.

საკითხის გარკვევას მეცნიერული და პატრიოტული პოზიციიდან შეეცადა სიმონ ჯანაშია. არაა მოკლებული ინტერესს, თვალს გაუღვენოთ ამ უკანასკნელის შეხედულებების განვითარებას აღნიშნული პრობლემის თაობაზე.

1940 წელს სსრ კავშირის ისტორიკოსთა ცენტრალურ ჟურნალ «Вопросы истории»-ის ფურცლებზე სიმონ ჯანაშიამ გამოაქვეყნა რეცენზია „სსრკ ისტორიის“ II ტომის შესახებ, სადაც (ამ ნაშრომში) აღნიშნული იყო, რომ ქართველობა ერთად ჩამოყალიბდა მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევარში. რეცენზიის ავტორი მიუთითებდა იმას, რომ „სსრკ ისტორიის“ მეორე ტომში არასწორად იყო ციტირებული ი. ბ. სტალინის შესაბამისი აზრი ქართველობის ერთად ფორმირების შესახებ. კერძოდ, ციტატიდან გამოტოვებული იყო სიტყვები „არსებობდა რომ ვთქვათ“ (строго говоря), მართლაც ამ სიტყვების გათვალისწინებით ცხადი ხდება, რომ ქართველობის ერთად არსებობას ი. ბ. სტალინი გარკვეულწილად გულისხმობდა წინაპიკატალისტურ ეპოქაშიც, როდესაც ქართველებს ჰქონდათ საერთო ენა, ტერიტორია და ფსიქიკური წყობა. თავის პოზიციას სიმონ ჯანაშია განმტკიცებდა ი. ბ. სტალინის მეორე ციტატირებით: „ერი ყალიბდება მხოლოდ ხანგრძლივი ჯარგულარული ურთიერთობის შედეგად, თაობიდან თაობამდე ადამიანთა ერთად ცხოვრების შედეგად“ (სხვათა შორის, ი. ბ. სტალინის 1929 წელს დაწერილი ჰქონდა სტატია „ნაციონალური საკითხი და ლენინიზმი“, სადაც ერის ჩამოყალიბება ხანგრძლივი პროცესად არის წარმოდგენილი. მაგრამ ეს ნაშრომი მხოლოდ 1949 წელს გამოქვეყნდა და მის შესახებ ს. ჯანაშიამ არაფერი არ იცოდა. მკითხველებს შევახსენებთ, რომ იგი გარდაიცვალა 1947 წელს).

ამავე რეცენზიაში ავტორი სახეებით სწორად მიუთითებდა იმ გარემოებასაც, რომ ი. ბ. სტალინის აზრი ერის წარმოშობის თაობაზე მხოლოდ ქართველობას კარ შეეხებოდა (როგორც ესაა აღნიშნული

წიგნში), არამედ სხვა ეთნოსებზეც, რომელთაც თავიანთ ეთნიკურ განვითარებაში მიადწიეს უმაღლეს სტადიას.

1944 წლის 28 დეკემბერს სიმონ ჯანაშიამ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებაზე წაიკითხა მოხსენება: „ქართველი ერის წარმოშობა ი. ბ. სტალინის მოძღვრების სინათლეზე ნაციის შეხახებ“ (დაბეჭდილია ი. კაპარავას წიგნში „ისტორიოგრაფიული ეტიუდები“, 1977, გვ. 245-256). ეს პირველი შემთხვევა იყო ქართულ

ისტორიული ერთობის, ან შეიძლება საერთოდ, ზოგად ცნებად, ადამიანთა ყოველგვარი ისტორიული ერთობის აღსანიშნავად“ (იხ. აღნიშნული წიგნი, გვ. 284-285). აქ, ჩვენი აზრით, საკმაოდ უფასურდება სიმონ ჯანაშიას პოზიცია. გამოდის, რომ ეთნიკური ევოლუციის უმაღლესი ფორმა „ნაცია“ ყოფილა, რომელიც ჩნდება კაპიტალისტურ ეპოქაში, ხოლო „ერი“ სიმონ ჯანაშიას მიხედვით კი — ოდენ ზოგადი, ეთნოსის მნიშვნელობის ცნება. შესაბამისად, როდესაც სიმონ ჯანაშია XI-XII საუ-

XII საუკუნეების მანძილზე სიმონ ჯანაშიას აშკარად, პირდაპირ არ უმტკიცებია (ისტორიკოს ნიკო ბერძენიშვილს), მაგრამ რომ ამ თვალსაზრისის იზიარებდა, ეს ჩანს შემდეგი გარემოებიდან. სახელმძღვანელოს ივ. ჯავახიშვილისეულ ნაწილში (555-111) ტერმინი „ერი“ უწინდელი ქართველობის მიმართ რამდენჯერმე გვხვდება. ასე, მაგალითად, 182-ე გვერდზე ვკითხულობთ: „მაგრამ ამ ბრძოლაში (იგულისხმება დავით აღმაშენებლის ბრძოლა თურქ-ხელჩუქთანა წინააღმდეგ — გ. ყ.) სრული გამარჯვებისათვის კიდევ უფრო მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენდა ქართველი ერის ყველა ძალთა გაერთიანება ერთს ცენტრალიზებულ სახელმწიფოში“. 228-ე გვერდზე აღნიშნულია: „ქართველი ერი მისთვის ამ დაშორებულსა და თითქოს უცხო კულტურას (არაბულ-სპარსულს, გ. ყ.), როგორც ცხოველმყოფელ წყაროს, დაეწაფა, შეითვისა იგი და ამით თავისი მწერლობა და ხელოვნება გაამდიდრა“. ქართველობა ერთად მოხსენიება აგრეთვე სახელმძღვანელოს 189-ე გვერდზეც, ხოლო ერთი გვერდის წინ ამ ტერმინით აღნიშნულია XII საუკუნის სომხობაც.

სიმონ ჯანაშიას რომ ქართველობა, როგორც ერი, მხოლოდ და მხოლოდ XIX საუკუნის პროლექტად მიეჩინა, ვეჭვობთ, რომ მას, როგორც „საქართველოს ისტორიის“ ძველი სახელმძღვანელოს რედაქტორს, არ გაეწივრებინა ივ. ჯავახიშვილისეული შესაბამისი ადგილები. ამრიგად, ქართველობის ერთად მოხსენიება XI-XII საუკუნეების მანძილზე სახელმძღვანელოს ფურცლებზე მოწმობს იმას, რომ სიმონ ჯანაშია იზიარებდა ქართველობის ერთად არსებობას ჩვენი ისტორიის „ოქროს ხანაში“.

60-იანი წლების მეორე ნახევარში საბჭოთა კავშირში მთელი რიგი ჟურნალისტების, განსაკუთრებით „ვოპროსის“ ისტორიის, ფურცლებზე ვაცხოველებული დისკუსიები წარმოებდა ერის რაობისა და ნიშან-თვისებათა შესახებ. ეს დისკუსიები გრძელდება ახლაც, განსაკუთრებით მოსკოველ ეთნოგრაფებს შორის. რიგ ქართველ მეცნიერთა მიერ (ა. ავაქიძე, ი. კაპარავა, პ. შარია) გამოითქვა აზრი ქართველობის ერთად ჩამოყალიბების შესახებ უკვე XI-XII საუკუნეებში. ასე რომ, ერისა და მისი წარმოშობის შესახებ შეხედულებებში აშუამალ ბევრი რამ ცვლილებებს განიცდის. ის, რაც ამ ორმოციოდ წლის წინათ სიმონ ჯანაშიამ გააკეთა ქართველი ერის წარმოშობის პრობლემის კვლევა-ძიებაში, საინტერესო და ნაყოფიერი ცდა იყო. ამ მცდელობაში ერთმანეთს დამთხვა მეცნიერული და პატრიოტული პოზიცია, რაც საერთოდ იდეალია ისტორიოგრაფის, როგორც მეცნიერებისათვის.

სიმონ ჯანაშია ქართველი ერის ჩამოყალიბების შესახებ

გურამ ყორანაშვილი,

ვილსონოვიურ მეცნიერებათა დოქტორი.

აზროვნებაში, როცა ქართველობის ერთად ჩამოყალიბების ხანგრძლივი პროცესი სპეციალური განხილვის საგნად იქცა. ერის აღიარებულ ნიშან-თვისებებში სიმონ ჯანაშია უყოყმანოდ გულისხმობდა კულტურის ერთობას, მისი გამომუშავების ისტორიას, აგრეთვე ეროვნულ თვითშეგნებას (ინდივიდუების ეთნოსისადმი, ერისადმი კუთვნილების მნიშვნელობით), რაც მეცნიერების განვითარების იმ დონეზე აშკარა სიახლეს წარმოადგენდა. აქ არაა ადგილი დაწვრილებით წარმოვარჩინოთ მოხსენების მთელი რიგი დიდებითი მომენტებისა და შევეხებით სხვა მხარეს.

ჩვენ არ მიგვაჩნია სწორად მოსაზრება, რომ სიმონ ჯანაშია პირდაპირ აღიარებდა ქართველობის ერთად ჩამოყალიბების დასრულებას უკვე ფეოდალიზმის ხანაში. ეს პროცესი განსვენებული მეცნიერის აზრით ჩვენში მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევარში დასრულდა. ამდენად, ჩვენი შეხედულებით, სიმონ ჯანაშიას მიერ ფეოდალური ერის აშკარა მტკიცება მოკლებულია საფუძველს. ვერ გავიზიარებთ ი. კაპარავას მეორე დასკვნასაც: „ამრიგად, ს. ჯანაშია ნაციის ცნებას იყენებდა „ბურჟუაზიული ერის“ აღსანიშნავად, ხოლო „ერის“ ცნებას უფრო ხნიერი

კუნების ქართველობის ეთნიკური განვითარების საფუძურს ერის ცნებით იაზრებდა, „ერი“ თითქოს იგივე მნიშვნელობა მოიპოვებოდა, რაც „ეროვნებაში“, „ხალხში“. ეს, ვიმეორებთ, სიმონ ჯანაშიას შეხედულების გაუფასურებაა. მოხსენებაში უბრალოდ ტერმინები „ერი“ და „ნაცია“ იხმარება ერთნაირი მნიშვნელობით, ე. ი. როგორც სინონიმები.

თავისი თვალსაზრისი ქართველი ერის წარმოშობის შესახებ სიმონ ჯანაშიამ შეაქაშა 1946 წელს, „საქართველოს ისტორიის“ სახელმძღვანელოს მეორე გამოცემაში. ამჟერად ბევრად უფრო ფართო აუდიტორიისათვის ნათელი შეიქმნა ქართველობის ერთად ჩამოყალიბების ხანგრძლივი პროცესი. საერთო წარმოშობა, ენის, ტერიტორიისა და კულტურის ერთობა, ეთნიკური თვითშეგნება ის ფაქტორები გახლდათ, რომელნიც, სიმონ ჯანაშიას აზრით, ერთ ეროვნულ ორგანიზმად ჰკრავდნენ ჩვენს ეთნოსს. ეს პროცესი კი, როგორც ეს აღნიშნულია წიგნში, დასრულდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში; საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების კვალად.

საყურადღებოა შემდეგი. თუმცა ქართველობის ერთად ჩამოყალიბება დასრულებული უწინ, მათ შორის XI-

17.7.11

ის იყო მანქანიდან გადმოვდიო, თხმელის მორებით შეკრული მომცრო ზოგირი გადავიარეთ და მოთეთრო თიხის გატყევილი ბილიყზე შევდგით ფეხი. ბილიყი ფერდობზე შეფენილ ნაძვის ხეებით შემორავულ ჩაის პლანტაციას მისდევდა. მარცხნივ ევკალიპტის ხეივანი შრიალებდა. უწინ აქ ისლიანი ჭანჭრობი იყო...

...ნაწვიმარ მოლზე გატყორცნილ ნაჭრის ბურთის მისდევს გურამი. აქეთ ომარი, იქით გუნური, ვასო, რომანი. არ მიაწრონ ბიჭებმა, უფართქალებს გული. ყველას თოვლივით თეთრი შარიქა ასწრებს — პირში ბურთამორილი წისქვილისკენ გარბის. ახლა ძაღლს მისდევს გურამი. მიწიდან ხის პალოს აძრობს, მისდევს, ეძახის... ბიჭები მოლზე გორავენ, სიცილით იგრინებთან...

დაბლობი სამ სერს შორის მიილია. ქვენა ქრის და ხეებს ქორავს. წყალგამყოფი სერის შუაწელში ამაყად ირწყევა უზარმაზარი წიფელი, დანარჩენ ხეებს თავს გვირგვინად წამოსდგომია.

— დიდებული სანახავია! — ამბობს გიჟო.

ფერდობზე პაწაწინა ნაქადული ჩამორბის, დაბლობში მოდუღუნე მოზრდილ ღელეს უერთდება. ფრთხილად ვუახლოვდებით. უკვე მკაფიოდ ისმის წყლის ჩქერის რუღუნა. აი ისინიც, — თბილ დორანში მზის გულზე გარინდულნი.

— ბიჭოს, აქ თევზიც ყოფილა! — ჩამხმის გიჟოს ხმა.

თეთრი ქაშაყები ერთ წამში თრთოვლით გაუჩინარდნენ.

— შენ ადრე უნდა გენახა. ღელეს რომ გადავწურავდით, რა არ ამოდიოდა: ღორჭო, ქაშაყი, კობრჩხა... ზოგჯერ წვერა და ციმორიც კინელი ნახავით შევუყვით წითელმიწა შედმართს.

ბექობზე წაფერდებული ბებერი წყავი ჩაის. წყავზე თხები გაწყაჟუნდნენ. მათ ჩამოსარკეად ხეზე წკნელ-მომარკვებული ბიჭი მიცოცავს.

— გური! — შევძახე.

ბიჭი შეჩერდა, მოიხედა, ხმას არ ღებდა.

— გური! — გავძახე კვლავ.

ბიჭი გაოცებული მოგჩერებია.

— მე გური არ მქვია! — როგორც იქნა, ენა ამოიდგა, — ა, ხომ ხედავთ, სად გასულან?! — მოცხხო წკნელი გარინდულ თხებს, პანტაპუნტით ჩამოყარა ხიდან, თვითონაც მალაყით გადმოეშვა და ყოყინით გადარეკა ფერდობში.

...დავედევნებო ახლა ამ თეთრპერანგა, თავსოტორა ბიჭს, მაგრამ შვერ-უალტამი დამშუშხავს, ეკალბარდში დავიბლოტებო. თვითონ ერთი ეკალიც არ შეეხობა, შესწავლილი ექნება ყველა ბილიყი. ვიცი, საიდან მოვუარო, — სერის დასაწყისში არის ერთი ეკალ-ბარდითა და ღიანებით დაბურული საძრომი, შეხვალ შეგ და უცნაური სანახაობა გადაგეშლება თვალწინ: ტაფობი ზევიდან მთლიანად მწვანე თალითაა გავსებული, მწენაკული მოლი წვიმის ღვარს დაუტყლია. და თუ შეუვები ამ ტაფობს ზევი... ფრთხილად! წინ ნავარსკვლავია...



სურამი

ზურაბ ჩხაიძე

— შენ თუ იცი, რა არის ნავარსკვლავი?

გიჟომ მხრები აიწურა.

— აქით მოიწი!

ხელი ჩავვიდე და ირიბი ბილიყით ღარტაფში ჩავეშვით. შლამნარევი თიხამიწა ორ-სამ მეტრზე იყო ჩაქცეული.

— ორმოა ჩვეულებრივი, — გაიღმა გიჟოს.

— კი, ეგრე გეგონოს დამით ცას ვარსკვლავი რომ მოწყდებოდა, სად იკარგებოდა, თუ იცი?

— თქვენს გადმოღმა ცვიოდა ამ ხევში ხომ? — გაიღმა კვლავ.

— ჰკითხე ბებიას, ჩემი თუ არ გქერა!

უფრო მოზრდილ ნავარსკვლევთან ავინაცვლეთ.

— კასტური მოვლენაა, — დუმილი დაარღვია გიჟომ. — მიწის ქვეშა წყლები ნაწვიმარზე მატულობს, რეცხავს ქვედაფენას. დამბალი და დამძიმებული მიწა ადგილადგილ ჩაიქცევა. მისვდი? — მკითხა ნიშნისმოგებით.

უკვე გამოჩნდნენ ღობის გადმოდმა მდგარი დარბაისელი ნაძვები, საოცრად სიმეტრიულშტოებანი ხურმის ხეები და მერე ჭიშინაი წყავის მზინავი ფოთლებიც აელვარდნენ მზეზე...

ალაგეს მიფუახლოვდით. ჩვენს თვალწინ, კოშკართან, უზარმაზარი წიფელი აღიმართა.

— ოოო! მართლაც დიდებულია! — თვალს ავლებს გიჟო მოზრდილ წიფელს.

გულმა არ მოგვითმინა. წიფლის ძირზე ჩამოვსხვდით.

— ბაბუას ბუკებიც ბქონია ამ წიფელზე, აი, ამხელა, — მკლავებს მთელ სიგრძეზე ვშლი, — პატარა

საწნახელის მსგავსი. გარეულ ფუტკარს იჭერდა თურმე...

...ეზოში, ოდა-სახლის გვერდით, მინდორში, დაბალ სამფეხა სკამზე ჩამოქდარა თეთრულგაშა, ყაბალახიანი, ცისფერთვალა მოხუცი, ყავისფერი ჩაქურით და უძირობით საგარეოდ გამოწყობილი, ჩიბუხს ნება-ნება აბოლებს და ილიბება...

წამოვდექით. ჩვენს წინ მწვანე კონდრით მოლივლივე ეზო ამოცურდა. შუაში ხისბარკვებიანი ოდა-სახლი დგას. ისლით დახურულ სამზადს ლურჯი კვამლი შემობურვია... ოდის ქვეშ, ღომის საცხეხავ ჩამურზე, ბავშვები შემომხსნდარან.

— ჩემი ბიძაშვილებია, — ხმა-დაბლა ვეუბნები გიჟოს.

ბავშვებმა დაგვლანდეს. უფროსი ჩვენსკენ გამოქანდა:

— ბებო, ბებია! გურამი ჩამევიდა, გურამი!

სამზადის კარი გაიღო, კარებში წელში მოხრილი, გახუნებულთავსაფრიანი ბებია გამოჩნდა.

— ვაი სულო, ვაი გულო! — კალთაზე იშრალბდა ხელებს, — ჩამოდი, ბებია? ჩამოდი, ნენა? პატარა ბიჭმაც მოიბინა.

— ეს ჩვენი კაკოა ეს ნატუსი! — ხელში ვიყვან კაკოს.

ვეხვევი ბებიას და ვბრუვდები თბილი, ნაცნობი სურნელით.

— გაიცანი, ბებო, ჩემი მეგობარია.

— ნამეტანი კაი... მობრძანდით! — მიგვიძღვება ოდა-სახლისკენ.

— მაქეთ არა, ბებო, სამზადში გავჩვენია.

— სტუმარ კაცს რაფერ ვაკადრო? კვამლი შეგაწუხებთ.

სამზადის წინ ნატოს გამოტანილ დაბალ ჭორკეპზე ჩამოვხედით.

— რაფერ ხარ, ბებო? — მხარზე ხელს ვხვევ.

— რავა ვიქნები, შენგან დავიწყებული?

— რა ქნა, ბებო, სწავლა დავასრულე და, როგორც იქნა, ჩავდექი სამსახურში.

— გახსოვს, რომ მექადნებოდი, ქალს შევირთავ და შენს გვერდში დავსახლდებო? — ღიმილნარევი საყვედურით მითხრა. — უწინ უფრო ჩამოდიოდი!

თვალი უნებურად აკაციებით უსუდრული ბორცვისკენ გამექცა.

— მარტო ხარ შინ? — კკითხე მცირე ღუმლის შემდეგ.

— ბიძაშენი ჩაის პუნქტზე გადავიდა, თალიკო — სკოლაშია.

— კაი აბა, ჩვენ ეზოში გავივლით. შენებური კვერი გამოგვიცხვე ერთი, თუ შეიძლო.

ფერდობში ჩამავალ ბილიყს დავადექით, — წინ მე, შუაში ნატო მტინტილებს ფეხშიშველი, უკან გიჟო მოგვეყვება.

— ეს რაა, შავი ვაშლი? — ხელს იშვერს გიჟო.

— იაპონური მსხლის ჭიშია. — გავნუშრატავ მე.

ხესთან ვჩერდებით. ტოტს ვიწვდით. სიამოვნებით შევექცევით წვნიან ნაყოფს.

გიჟო თვალს ავლებს ერთმანეთში გადახლართულ შავ ვაშლებს, ნიკალო მსხლებს, საშემოდგომო მოყვითალო ატმებს, ხურმის ხეებსა და ლალისფერი ნაყოფით აბრიალებულ შვინდისა და ბროწეულის ბუჩქებს.

— გამარჯე ხალხი ყოფილა, — ამბობს გიჟო.

— ამ ოჯახმა შვიდი შვილი და უამრავი შვილიშვილი დაგვწარდა. მამა და ორი ბიძა ომში დამედუპა. დანარჩენები წავიდ-წამოვიდნენ. დარჩა კოლა ბიძია, ყველაზე უმცროსი.

ბარდნარით დაბარდულ ბექობზე წაბლები შრიალებენ. იქვე შავი ბამბუკის პაწია კორმოია.

— შავი ბამბუკი თუ არსებობდა, არ ვიცოდი, — უკვირს გიჟოს.

— ის კი, თეთრი იზაბელა! — თხმელაზე გასულ ვენახზე ვანიშნე. — ნოეს ყურძენს ეძახიან. ბიძაჩემსაც ნოე ერქვა, იმას, ომში რომ დაიღუპა.

გიჟომ სავსე მტევნის სიმძიმეს ხელისგული შეაშველა და რამდენიმე მარცვალი დაიგემოვნა.

— ადესაა, ნამდვილად: თეთრი ადესა!

— რატომაა ასე მოუვლელი? — კკითხე ნატოს.

ხეს ბარდნარი შემოხვეოდა. ვენახს მიჩნარად ეხსა.


— გაიქცევი, ერთი ბარი და წალდი მორბენინე.

ნატომ დიდხანს არ გვალოდინა. გიჟომ წალდი მოიმარჯვა. აკაფა ბარდნარი. მე ვენახს ძირი შემოვუბარე.

უკან გამოვბრუნდით, ტრიფოლიატის ღობეზე გადმოწვიდილ მსხალ-გიდელებს ჩავუარეთ, ვენახში ჩავმაროეთ და ცოლიკაურის რიგებს შევეკრეთ.

თითოეული ვაზი აკაციის სარზე

ქ. მარქსის ს. ს. სსრ



დრაცანის ანაქსელით აუკრავს ბიძიას. დაბერებული ვაზი, ძირები დამსხვებულნი. რა გასაკვირია, ეს ვაზი ხომ მთელ სოფელში პირველმა ჩაყარა ბაბუამ.

...სრიალებს ჭაყუა-დანა. თხილის ტყეით მოწული გოდორი ივსება ქარვისფერი მტევნებით.

ქოლა: — ჰაი, შე გლახა, გამოდი აქეთ!

ყურძნით ხავსე გოდორის სიმძიმემ ლამის ქვეცხენელში ჩამიტანოს. ვცდილობ, არ შევიმჩნეო. როგორც იქნა, ვავმართე მუხლი.

ბიკენტი: — ხედავთ თქვენ ამ ამბავს?

უკვე მსიამოვნებს გოდორის ხიმძიმი.

ამბაკო: — არ წეიქცე, ბიძია! წამოფერდლა, დაქანდა ვაზის რიგი.

სადიკო: — რეიზა იკლავ, ნენა, თავს? გადართე ბაღანა ხომ?

აგერ ვენახის ჭიშკარიც. ეზოს გადასერი და ოდის ქვეშ საწნახელია...

— ეს რა უქნია ჭოლას? — ვთქვი და ელდანაცემივით შევდექი. გული მომეწურა: ორიოდ რიგს იქით ვენახის ჩათავდა და ერთხანად ორწლიანი ჩაის ნარგავები გამოჩნდა.

— რას იზამ, ვერ გაატყუებ, — დაფიქრებთ თქვა გიზომ. — ჩაი უფრო შემოსავლიანია.

ალარაფერი მითქვამს.

ვენახის ბოლოს სამეზობლო მიგნახთან შევჩერდი. ჩქოლა კომპიტები გაზრდილან, ცამდის აწვიდილან, იზაბელას ვაზით დამშვენებულან. შირალიბენ კომპიტები. შევყურებ და მივირის, რა სწრაფად გაზრდილან კომპიტები. მახსოვს, კენწეროზე რომ მოვექცეოდი, თავს როგორ დაბრიდა და რანაირად დამიშვებდა ძირს.

ვენახიდან გამოვდივით, ჭიშკართან დატოვებული იარაღი ნაღის ქვეშ მივაყუდეთ. დაძველებული ნაღია, ჩამოკლბობია ყავარი.

ფერდზე ამავალ ბილიკს დავადექით. ქვევით სიმინდის ყანა შირიალებს. მეოთხე თოხს თხოვლობს, — ფხვებზე ვატყობ. ტერასებზე მანდარინის ბაღია გაშენებული. მათ შორის ბაბუას ნაჩუქარი ჩემი ორი რიგიც ურევია.

ავივაკეთ. ჩვენს წინ მკვირივი ნაყოფით დამიმებებული, ფრანგულა მსხლების ახალნაყარი გადაიშალა. ბევრს სიმძიმისგან ტოტები დამსხვრევია. მწიფობაში რომ შედის, მძიმდება ნაყოფი, მაშინ უნდა ჭიგობის შეშველება. ეტყობა, ბიძიამ ყველაფრისათვის ვერ მოიცალა.

ფორთოხლის ბაღი გადავჭერთ. სასარე ტევრს მივადექით.

— ეს ბიძიას სასარე მეურნეობაა, — აფუხსენი გიზომ. — უწინ აქ არ თავდებოდა ჩვენი სამოსახლო. — ვთქვი და უნებურად ისევ აკაცობით შესულარული ბორცვისკენ ვამექცა თვალს.

შემოვბრუნდით. ჩვენს წინ ორი უზარმაზარი მსხლის ხე აღიმართა. მაღალი, თითქმის ერთმანეთის ტოლი, ზორბა მოყვანილობის ხეები ერთმანეთისგან ოციოდ მეტრით არიან დაშორებულნი. ტანზე ხავსი და სურო მორევიათ.

— თათარა მსხლებია, ბაბუას დარგული...

ფხვზე ვავიხადე, მსხლის ხეს მივაშურე და ზედ მიყუდებული ლატანის მოშველიებით დავიწყე შეცოცება. ფხვისგულებით სუროს ფოთლების სიგრილეს ვგრძნობდი. როცა პირველ ტოტს ზედ მოვექეცი, გადმოვიხედე. გიზოსაც გაეძრო ფხვსაცემელი და ხეზე აღიოდა. ნატო მოლცემი იყო მოკალათებულნი.

ერთი ტოტით მაღლა ავინაცვლე. მწვანე კონდრით მოხავერდებული ჩვენი ეზო და მის შუაგულში ჩადგმული ოდა-სახლი გამოჩნდა. სამზადის გვერდით, ჭიშკართან, ჩამავალი მზის სხივებზე ამაყად შირიალებდა ჩვენი წიფელი.

გიზომ მსხალი მოწყვიტა, ნატოს გადაუდგო. მეორე თვითონ გასინჯა. იღვა დაბლა ტოტზე და არხეინად შეექცეოდა დათაფლულ ნაყოფს.

მე კვლავ ზევით მივიწვიდი და სულ მაღე ხის კენწეროს მოვექეცი.

აქედან ხელისგულივით მოჩანს ყველაფერი: მარჯვნივ თუ მარცხნივ, ორივე ხეობა, ოდა-სახლებით დამშვენებული ჩვენი სოფლის სერები. აგერ ის დაბლობიც, ნაშუადღევს რომ ამოვიარეთ. დაბლობს შარავა სასლვრავს, გზის იქით ნაძვის ხეივანებით შემორაგული ჩაის პლანტაციები იწყება, იქვე რკინიგზის ხაზია. იქით კი სიმინდის ყანებია გაშლილი. ყანების მოყოლივით ვერცხლისფერი მდინარის ზოლი ჩაწოლილია მწვანედ მოლივლივ დაბლობზე. ბაერი გამჭირვალეა და აქედან ოდნავ შესამჩნევად ზღვის ზოლი: საც შენიშნავ. იგი თანდათან მაღლა იწევს და ჰორიზონტთან ცას ებჯინება. მდინარის გაღმა ზეგანი მაღლა მიიწევს, იბორცვება და აჭარა-გურიის ლურჯად მოლივლივ მთებს უერთდება.

ვზივარ ასე ხის კენწეროზე გარინდებული, ვავყურებ ნაცნობ მიდამოს და ვგრძნობ, რომ ახლა უკვე სხვა თვალთ ვუშვარ ყოველივეს. ის რაც იყო, — მოგონებად ქცეულია. გაფრენილან უზრუნველი დღეები. გაფრენილან, მაგრამ ამავე დროს, ვალად დამდებია: ამ მთას, ამ ბარს, მამა-პაპათა ამ ნაამაგარს, მოვლა-პატრონობა სჭირდება...

ახლა კი ვხვდები, გიზოს რომ ვუყურებ, ორიოდ დღის წინ, რატომ დაბობობდა ის ნება-ნება თავის ეზო-მიდამოში, რატომ დამატარა ყველა კუთხე-კუნჭული, პატარა ბიჭივით რატომ იჭერდა ღელეში ღოდებქვეშ შემალულ ღორჯოებს და შემდეგ მუხლამდე წყალში მოფარებულ ადგილას რატომ იბანავა დედი-შობილამ, ხოლო მეორე, ისედაც ქანცაწყვეტობდა, რად მაიძულა, ავყოლოდი სოფლის თავში, ხრიკ გორაკზე, და იქიდან გადმომხედდა.

ქვენა ქარი გაძლიერდა. უკვე საშიში გახდა ბებერ მსხლებზე ყოფნა. სანამ ძირს დავეშვებოდი, უკან მივიხედე. აკაცობით შესულარულ შობილამ, ხოლო მეორე, ჩემს ფერსთქვეშ სამოსახლოდ გათხრილ საძირკველს დაედო პირი... მამის გათხრილს და მიტოვებულს.

სალამონანს, როცა მზემ უკანასკნელი სხივები წამოკრიფა და სერების სიმწვანე ბინდში ჩაიძირა, ჭერ პარმალში ავინაცვლე, მეორე კი ოდა-სახლის შუა დარბაზში ბებიას გაწყობილ სუფრას ვუსხედით და ბიძაჩემის დაწურულ ღვინოს ვჭრუშავდით.

— აბა, უურნალისტები ხართ, ბიძებო? — ვინ იცის, მერამდენედ მეკითხებოდა ჭოლა და თავის ხმელ, ძარღვიან ხელებს ხან მკლავზე, ხან ფხვზე, ხან კისერში მითათუნებდა:

— თქვენ იცით, ბიძებო, რაც კაის იზამთ! კარგ საქმეზე ყოფილხართ: გამოგზავნილი, მშრომელ კაცს დაფასება უნდა! — არ გავსვენებდა, შემოგვცინოდა ჭოლა, მეზობლის წამოწყებულ სიმღერას კრიმანჭულს აყოლებდა და ალავერდს ჩვენთან გადმოდიოდა.

გუგუნებდა სიმღერა. საამო ჰანგით ივსებოდა ჭერი. ხუთი ქიქა კრიალა ცოლიკაურის შემდეგ უკვე ყველას გვიცინოდა სახეები, მეორე ქალ-რძალნიც ჩაერივნენ სიმღერაში. მე და გიზოც ავყვივით. ბებია იქდა მხოლოდ უბრად, პირღმინამდგარი შემოგვცინებდა მის მონაგარს, დიდს თუ პატარას. ისმებოდა სადღეგრძელო, ივსებოდა დარბაზი მშობლიური ჰანგით... და ვგრძნობდი, რომ არ არსებობდა ჩემთვის ამაზე უფრო მახლობელი და საყვარელი არც კუთხე, არც ხალხი, არც სიმღერა და არც ეს ქარი, ასე რომ იტაცებდა საამო ჰანგს და სეროდან სერზე გადაჰქონდა.

...გვიან გამოგვედვიდა. ქარი ჩამდგარიყო.

ბებიას ტაბლა წიფლის ჩრდილში დავედა. ნაცრინი კვერბიც დავცხო.

ის-ის იყო ვისაუზმეთ და წასასვლელად ვავემზადეთ, რომ ჭოლა ბიძიაც გამოჩნდა: თოხი მხარზე გაედო, საკინძრახსნილი, მძიმე ნაბიჯით ამოდიოდა აღმართში. თმა დაბალზე ჰქონდა შეკრებილი, მინც შესამჩნევად ეტყობოდა მოძალბებული ჭიარა.

შორიანლო ჩამოჭდა წიფლის ძირზე.

— რას შობით, ბიძებო? — გვიტოხა, ცოტათი სული რომ მოიქცა, გაოფლიანებული სახე ლურჯი ხალათის კალთებით შემშრალა. მაისური არ ეცვა. შარვლის სათავის ზემოთ, მუცილზე, ჭვარდიანად ემჩინეოდა ნაჭრილობები.

— რას გამოწყობილხართ, ამ დილაადრია? — ჭიბიდან სიგარტი ამოიღო და გააბოლა.

ბებიაც მოვიდა. პატარებმა კონდარზე მოიკალათეს.

— კარგი კარ-მიდამო გქონიათ, ჭოლა ბიძია! — თქვა გიზომ.

— კი, ბიძია, მარა, კი პატრონიც სჭირია. რა ვქნა, ვერ ოუთავდი ყველაფერს. ეს ოდაც დავიძველდა. ნატო, ცვი წყალი მეიტანე, შეილო! ნატო სამზადისკენ გაიქცა.

— ნენა, გვახალიმე, — უთხრა ბებიას.

— უკვე ისაუზმეს, ერთი საათიც არ იქნება მის მეორე, — მიუგო ბებიამ.

— ჩვენ უნდა წავიდეთ, — ვთქვი მე.

— რაო? ხუმრობთ, ბიძებო?

— არა, ბიძია. ხვალ რედაქციის უნდა ჩავაბაროთ მანქანა, თქვენ გიზომ.

— ჭერ არ ჩამოვარდნისა და უკვე წახვლას აპირებთ? — აილანდა ბიძია — ერთი-ორი დღე მაინც დარჩით.

— რა ვქნათ, ბიძია, არ ხერხდება, — ახლა მე ამოვიღე ხმა.

— უყურე, რა თქვა! — გაწყრა ჭოლა. ისედაც წამოწითლებული სახე მთლად აუჭარხლდა.

ჩვენ ჭიშკრისაკენ ვავმართეთ.

— კარგად იყავი, ბიძია, — ვავძახე, რაი აღვილიდან ფხვს არ იცვლიდა.

— კარგად რა მამყოფებს, — ჩაიბუზღუნა. იქდა წიფლის ქვეშ ოფლ-შეუმშრალი, სახეაპალიბებ უ ლ ი. ჩვენკენ არც გამოუხედავს.

ეზოდან ბებიამ და ბიძაშვილებმა გადაგაცივლიეს.

— არ იწყინოთ, ბებია. წუხანდელი ნადვინევია. თქვენი მშერა უნდოდა ერთხანს. ისე შენი გულბიზა, სულს დაღვეს, ხომ იცი.

— ვიცო, ბებია, — დავამშვიდი.

— ნერვების ბრალიცაა, — განაგრძობდა. — ათი წელი ატარა მოწამლული ტყვია. დაჩხვს კაცი. მუცილში მოხვედრილი, თეძოდან ამოულეს. ხომ იცი ეს შენი?

— ვიცო, ბებია!

— მართლა? — იკითხა გიზომ და გაჩუმდა.


საქციელწამდარი მივაბიჯებდით. არ მეგონა, ასე თუ ეწყინებოდა ჭოლა ბიძიას ჩვენი წასვლა.

საბარგო ავტომობილი წამოგვეწია. ბებიამ გულში ჩამიკრა. კიდევ ერთხელ ვიგრძენი თბილი, ნაცნობი სურნელი. ვავამხნევე, ვანუგეშე. დავემშვიდობეთ და ავძვერით მანქანის ძარაზე. ხელაწეული, ისედაც წელში მოხრილი ბებია, მაღე სულ დაპატარავდა და მოსახვევში თვალს მიეფარა.

შეგბრუნდი, კაბინას გადავეყრდენ და გრილ ნიავს მივუშვირე შუბლი. მანქანა უკვე მოასფალტებულ გზაზე მისრიალებდა. ნაძვის ხეივანებით დამშვენებულ ჩაის პლანტაციებს შორის გაჭრილ გზაზე მიიწვიდა წინ. ნელ-ნელა ვშორდებოდი მთებს და გაშლილი დაბლობისკენ მივდიოდი. ერთხელ კიდევ მოვიხედე უკან, ერთხელ კიდევ გადავავლე თვალი მშობლიურ მიდამოს და ერთხანად ურუანტელმა დამიარა ტანში: რაც უფრო ვშორდებოდი სოფელს, რაც უფრო წინ მივდიოდი, მით უფრო მაღლა იწეოდნენ და იზრდებოდნენ ჩვენი სოფლის ხერები. მათთან ერთად აღვილიდან დაძრულიყვენ აკაცობით შესულარული მწვანე კორდი, კორტოხზე წამომდგარი ტოტებგაბარდული ბებერი წიფელიც, თითქოს ყველა ერთად დამედევნებოდნენ უკან, საცა დამეწეოდნენ, შუაში მომიწყვედევდნენ, ამიტაცებდნენ და უკან მიმბარუნებდნენ...

მანქანა კი ძრავის მონოტონური გუგუნით ისევ მიჭრებოდა გამლღვალ ასფალტზე, ზღვისპირა ქალაქისაკენ მიიკვლევდა გზას.

ნიკარაგუის ეროვნული ზვიკი



მალხაზ რადინი

ორმოცდაათი წლის განმავლობაში გრძელდებოდა ნიკარაგუელი პატრიოტების ბრძოლა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, სოციალური და პოლიტიკური თანასწორუფლებიანობისათვის. 1979 წლის 19 ივლისს, ქვეყანაში გაიმარჯვა ანტიიმპერიალისტურმა სახალხო რევოლუციამ, რომელმაც ბოლო მოუღო სომოსას სისხლიან დიქტატურას. ხელი-სუფლების სათავეში მოექცნენ სახალხო ძალები, რომლებმაც თავიდან მოიშორეს საძულველი ეროვნული გვარდია და შეუდგნენ პროგრესული რეფორმების გატარებას. ნიკარაგუის ეროვნული განახლების მთავრობამ აღასრულა სანდინოს ოცნება. 1980 წლის 14 მაისს, სახელმწიფო საბჭომ სანდინო გამოაცხადა „ანტი-იმპერიალისტური, სახალხო-დემოკრატიული რევოლუციის მამად“.

1821 წელს ნიკარაგუაში ბოლო მოეღო ესპანელთა კოლონიალურ ბატონობას. ჩრდილოეთ ამერიკელთა პირველი თავდასხმების შემდეგ, 1855-57 წლებში, ნიკარაგუის მაშინდელი მთავრობა 30 წლის განმავლობაში ემსახურებოდა ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესებს. ლიბერალი პრეზიდენტის, ხოზე სანტოს სელაის დროს, დაიწყო დემოკრატიული რეფორმები, პრეზიდენტმა პირველი ნაბიჯები გადადგა, რათა ქვეყანა შეერთებული შტატებისაგან დამოუკიდებელი გამხდარიყო. რასაც ამერიკელთა წინააღმდეგ 1909 წლის შეთქმულება მოჰ-

ყვა, მაგრამ უშედეგოდ. ნიკარაგუის სანაპიროებს მალე დამსჯელი ექსპედიცია მიადგა. შემდგომი კონსერვატიული მთავრობა, დაუსონის 1910 წლის კონვენციის საფუძველზე, იძულებული გახდა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ინტერესები დაეცვა.

1895 წელს, ინდიელი მსახური ქალისა და მდიდარი მემამულის ოჯახში დაიბადა ავუსტო სეზარ სანდინო, შემდგომში ნიკარაგუის ეროვნული გმირი.

ახალგაზრდა სანდინო თავიდანვე დაინტერესდა სამშობლოს ბედ-იღბლით. 1923 წელს იგი ამერიკის ნავთობმომპოვებელ საზოგადოებაში მუშაობდა. აქ მომხდარი გაფიცვები სანდინოსათვის ცხოვრების დიდ სკოლად იქცა. კლასობრივი ბრძოლის გავლენით, სანდინო ინტერნაციონალისტად ჩამოყალიბდა.

1926 წელს, როცა კონსერვატორებმა პრეზიდენტის სკამზე მესამედ დასვეს თავიანთი კაცი — ადოლფო დიასი, ლიბერალების მოთმინების ფიალა აივსო. მექსიკიდან ნიკარაგუაში შეიარაღებული ნაწილებით გამოემართა ლიბერალთა ერთ-ერთი ხელმძღვანელი, გენერალი ხოზე მარია მონკადა. დაიწყო სამოქალაქო ომი. მონკადამ მალე კონტროლს დაუქვემდებარა ქვეყნის ჩრდილოეთი რაიონებს დიდი ნაწილი და მოსახლეობის ფართო მასების მხარდაჭერა პოვა.

პირადად სანდინო დიდ იმედებს ამყარებდა ლიბერალებზე და სწორედ ეს გახდა მისი



სამშობლოში დაბრუნების მიზეზი. ლიბერალების მხარდასაჭერად, ჰონდურასის საზღვრის მახლობლად, სანდინომ 29 მაღაროელისაგან შექმნა პატარა რაზმი. როგორც ლიბერალური მთავრობის ჯარების ერთ-ერთმა მეთაურმა, სანდინომ უკომპრომისო ბრძოლა გამოუცხადა დიასს. ლიბერალთა ამგვარი წარმატება თვალში არ მოსდიოდა ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომელიც ხელდავდა, როგორ ქრებოდა მისი პოლიტიკური გავლენა ნიკარაგუაზე. შეერთებული შტატების მთავრობამ მდგომარეობის გამოსასწორებლად ნიკარაგუაში გაგზავნა დიპლომატიური კორპუსის განსაკუთრებული წარმომადგენელი ჰენრი სტიმსონი, რომელსაც ლიბერალებსა და კონსერვატორებს შორის საერთო ენა უნდა გამოენახა. 1927 წლის იანვრის დასაწყისში, ნიკარაგუის საზღვრების გასწვრივ თავი მოიყარეს ამერიკის ინტერვენციონისტულმა ძალებმა. ამავე წლის 4 მაისს, მანაგუას მახლობლად, ტიპიტაპაში სათათბიროდ შეიკრიბნენ სტიმსონი, ქვეყნის ლიბერალები და კონსერვატორები.

ამ შესხვედრის დროს, პირადი მოსაზრების გამო, მონკადამ შუალედური პოზიცია დაიკავა და თქვა, „როგორც დამარცხებული ჯარის შენაერთები, ასევე რევოლუციონერებიც იარაღს დაჰყრიან“. მონკადამ ხელი მოაწერა შეთანხმებას. სტიმსონი მას დაჰპირდა, რომ 1928 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად, ქვეყნის სათავეში სწორედ მონკადა

ჩადგებოდა. შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ, სანდინოს გარდა, ყველა ლიბერალი მონკადას მხარეზე გადავიდა.

1927 წლის 12 მაისით დათარიღებულ წერილში სანდინო მიმართავდა მონკადას: „არა აქვს მნიშვნელობა, სხვები როგორ მოიქცევიან, მე იარაღს არ დავყრი. უმჯობესია იმ მცირერიცხოვანი ხალხით, რომელიც ჩემს გვერდითაა, დავიღუპოთ. მონად ყოფნას, მეამბოხის სიკვდილი მირჩევნია; არც დავნებდები და თავსაც არ ვაგყიდი“. 32 წლის პატრიოტს მხარში ედგა რამდენიმე ასეული. მოხალისე ჯარისკაცი, რომლებიც „სუვერენული ნიკარაგუის დაცვის არმიას“ შეადგენდნენ. ისინი ახალგაზრდა წინამძღოლში უმთავრესად აფასებდნენ მის ცხოვრებისეულ გამოცდილებას, ინტელექტს, ორგანიზატორულ ნიჭსა და ხასიათის სიმტკიცეს.

ბრძოლის გავრძელების მიზნით, სანდინომ მთებს შეაფარა თავი. 1928 წელს, გერმანიის ვაზეთ „არბაიტერ-ილუსტრირტენ-ცაიტუნგ“-ის წარმომადგენელს, რომელიც რეპორტაჟს ამზადებდა სანდინოსა და მისი მეგობრების შესახებ, სანდინომ განუცხადა: „მე ვიცი, რომ ამერიკელთა ინტერვენცია გაცილებით უფრო შორსმჭვრეტელ გეგმებს ითვალისწინებს. ეს არის იმპერიალისტური მარში, რომლის სიმწარესაც არა მარტო ნიკარაგუელი ხალხი უნდა შეეწიროს, არამედ მთელი კაცობრიობაც“. მეამბოხეთა რიგები დღითი დღე იზრდებოდა. მათ



ხელში გადავიდა ჩინანდევას, ჩონტალერის, ესტელის, ჩინოტევას, ლეონის, მატაგალპას და სხუევა სერგოვისა ჩრდილოეთი პროვინციები. ჯუნგლებში ბრძოლისათვის გაწვრთნილი 5 000 ინტერვენტის პირისპირ 3 000 პარტიზანი იდგა.

1929 წლის იანვარს, აშშ-ის ჯარების სარდლობამ ბრძოლის დროებითი შეწყვეტა შესთავაზა სანდინოსა და მის მომხრეებს, მოლაპარაკების წარმოებისათვის. სანდინომ უარყო ამერიკელთა წინადადება. ამ დროისათვის საკმარისად იყო იმისი დამამტკიცებელი საბუთები, რომ ამ მოლაპარაკებას ფიქტიური ხასიათი ექნებოდა. მითუმეტეს, რომ პრეზიდენტის სკამზე უკვე იჯდა მარიონეტი მონკადა.

1932 წლის ნოემბერში ახალარჩეულმა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ფრანკლინ რუზველტმა განაცხადა, რომ იგი იწყებს, როგორც საშინაო, აგრეთვე საგარეო პოლიტიკის რეფორმას — „კეთილშობილურ დამოკიდებულებას ლათინური ამერიკის ქვეყნებთან და იქიდან ჯარების გაყვანას“. ნიკარაგუაში გავლენის შენარჩუნებისათვის, რუზველტმა ხრიკს მიმართა, რასაც ვერც სანდინომ და ვერც მისმა მომხრეებმა ალლო ვერ აუღეს: ამერიკელთა მიერ გაწვრთნილი ეროვნული გვარდიის ხელმძღვანელობა დაევალი ანასტასიო სომოსას, რომლის ერთგულება ამერიკელთა მიმართ არაკითარ ექვს არ იწვევდა. ნიკარაგუაში ამავე პერიოდში სახელმწიფოს მეთაური გადადგა და 1932 წლიდან ქვეყანას სათავეში ჩაუდგა ხუან ბაუტისტა საკარა, რომელმაც თავის დროზე მკვეთრად გააკრიტიკა ტიპიტაპას ლალატი და ემიგრაციაში იმყოფებოდა. 1933 წლის 3 იანვარს, ამერიკის სამხედრო ფლოტის უკანასკნელმა შენაერთებმა დასტოვეს ნიკარაგუა. 1933 წლის 3 თებერვალს, სანდინისტებმა მთავრობასთან ხელი მოაწერეს სამშვიდობო ოქმს. სანდინომ ჯარი დაითხოვა და იარაღი ჩააბარა. მთავრობამ ყველას სრული თავისუფლების გარანტია მისცა და ქვეყნის ჩრდილოეთში მათ რიო-კოკოს მიწები დაურიგა. სანდინომ აქ შექმნა დასახლება, რომელიც 1933 წლის ბოლოსათვის 600 ოჯახს ითვლიდა.

ამ ხანებში დიდი ბჭობა იყო გამართული — გამხდარიყო თუ არა სანდინიზმი ახალი პოლიტიკური ორგანიზაციის

ბაზისი, რომელიც თავის რიგებში გააერთიანებდა პოლიტიკური ბრძოლების საფუძველზე წარმოქმნილ პროგრესულ ძალებს. ამ სიტუაციას გულხელდაკრეფილი არც შეერთებული შტატების რეაქციული წრეები და არც ნიკარაგუის მაღალი ელიტის წარმომადგენლები უყურებდნენ. მათთვის სანდინო დაუძინებელ მტრად იქცა. ეროვნული გვარდიის მეთაური სომოსა ამერიკის მშინდელი ელჩის არტურ ბლის ლანის ნიშანს ელოდებოდა, რათა ბოლო მოეღო სანდინოსათვის და საერთოდ სანდინისტური მოძრაობისათვის.

მზაკვრული გეგმა განხორციელდა 1934 წლის 21 თებერვალს... სანდინომ, დონ გრეგორიომ—სანდინოს მამამ, გენერლებმა ესტრადამ და უმანცერმა, რომლებმაც ითათბირეს პრეზიდენტის სასახლეში, დატოვეს ხსენებული რეზიდენცია საღამოს 22 საათისათვის. „ელ პორმიგუეროს“ ყაზარმასთან მანქანა გააჩერეს შეიარაღებულმა გვარდიელებმა და სერჟანტის ფორმაში გამოწყობილმა მაიორმა დელგადილომ სანდინოსა და ორივე გენერალს მანქანიდან გადმოსვლა და იარაღის დაყრა უბრძანეს. სამივენი სატყროთო მანქანაში ჩაყარეს და ქალაქგარეთ გაიყვანეს. ერთ უკაცრიელ ადგილას დელგადილოს ბრძანებით გვარდიელებმა ავტომატების ჭერით მიწაზე უსულოდ დასცეს პატრიოტები. გემემა კი დაწვეს. ეს ადგილსამყოფელი დღემდე არავინ არ იცის. ამ ტრაგედიის უშუალო მონაწილენი, რიგითი გვარდიელები, რომლებმაც აღასრულეს ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტებისა და მათი დამქაშის სომოსას სურვილი, ტყის მახლობლად დახვრიტეს.

დონ გრეგორიომ თავი საღვადორის შეაფარა, სადაც, ამ სისხლიანი შემთხვევიდან ორი კვირის შემდეგ, გარდაიცვალა.

ამავე პერიოდში, სომოსას ბრძანებით რიო-კოკოს სანაპიროზე დახვრიტეს სანდინოს მეგობრები. ორი წლის შემდეგ, ეროვნული გვარდიის დახმარებით, სომოსამ დაამხო პრეზიდენტ საკარას მთავრობა და ქვეყნის დიქტატორი გახდა. მისი მმართველობის დროს, ნიკარაგუელმა ხალხმა მრავალი ტანჯვა-წამება გამოიარა, ვიდრე 1979 წლის 19 ივლისს სანდინოს შთამომავლებმა ბოლო არ მოუღეს სისხლიან რეჟიმს.

მიმდინარე წლის 4 ნოემბერს ნიკარაგუაში, გაიმართა საყოველთაო არჩევნები. სომოსას რეჟიმის დამხობის შემდეგ, ნიკარაგუელმა ხალხმა

პირველად აირჩია ქვეყნის პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი და ეროვნული კრების წევრები. ნიკარაგუის უმაღლესმა საარჩევნო საბჭომ, რესპუბლიკის პრეზიდენტად ოფიციალურად გამოაცხადა ეროვნული განთავისუფლების სანდინისტური ფრონტის ეროვნული ხელმძღვანელობის წევრი, ეროვნული ალორძი ეგების მთავრობის ხელმძღვანელი, საბჭოს კოორდინატორი დანიელ ორტეგა, რომელიც თავისი მოვალეობის შესრულებას 1985 წლის 10 იანვარს შეუდგება. მას გამართულ არჩევნებში ხმა მისცა ამომრჩეველთა 67 პროცენტმა. ქვეყნის ვიცე-პრეზიდენტად არჩეულია მთავრობის ხელმძღვანელი საბჭოს წევრი, სერხიო რამირესი. ეროვნულ ასამბლეაში (პარლამენტი), რომელიც 96 დეპუტატისაგან შედგება, არჩეულია ეროვნული განთავისუფლების სანდინისტური ფრონტის 61 წარმომადგენელი. დანარჩენი მანდატები მიიღეს არჩევნებში მონაწილე სხვა ექვსი პოლიტიკური პარტიის კანდიდატებმა.

ამ გარემოებას, ცხადია, ვერ შეეგუებოდა და არც შეეგუება ვაშინგტონის ახლანდელი ადმინისტრაცია, და ყოველგვარ ღონეს იხმარს ამ ქვეყანაში მდგომარეობის დესტაბილიზაციისათვის. ვითომდა ნიკარაგუის მხრიდან, მეზობელ ქვეყნებზე თავდასხმის შესაძლებელი საშიშროების გამო, შეერთებულმა შტატებმა ნიკარაგუის საზღვრებთან თავისი სხვადასხვა ფორმირების სამხედრო ნაწილების გადასროლა დაიწყეს. ნიკარაგუის მიმართულებით ცაში აიჭრა სამხედრო თვითმფრინავები. გემებმა კი გეზი ნიკარაგუის სანაპიროებისაკენ აიღეს. სამხედრო საპაერო ძალების შემადგენლობაშია 82-ე მედესანტეთა დივიზია. სწორედ ის დივიზია, რომელიც 1983 წლის ოქტომბერში გრენადის ოკუპაციაში მონაწილეობდა.

... ნიკარაგუა არ შეუთრგდება აშშ-ის აგრესიულ განზრახვას და ინტერვენტებს ფეხით არ გაათელინებს რევოლუციის მონაპოვარს. აშშ-ის ამბიციები ყველასათვის ცნობილია. გრენადის მავალითი არ განმეორდება. ამერიკის შეერთებულ შტატებს არ უწერია გამარჯვება ნიკარაგუაში. ჩვენი ხალხი მზადაა იბრძოლოს სისხლის უკანასკნელ წვეთამდე“ — ხაზგასმით აღნიშნა მანაგუაში გამართულ პრესკონფერენციაზე ქვეყნის თავდაცვის მინისტრმა, უმბერტო ორტეგამ.

სანდინოს იდეების ერთგული შვილები მტკიცედ იცავენ თავიანთ პოზიციას.



სპეციალისტები უკანასკნელ ხანს მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელთა შორის სულ უფრო ხშირად გამოყოფენ ბრაზილიელ ზიკოსა და ფრანგ პლატინის, რომლებიც იტალიურ კლუბებში „უდინეზესა“ და „იუვენტუსში“ თამაშობენ. ფრანგულმა გამოცემულმა „მონდიალმა“ ახლახანს გამოაქვეყნა ამ ორი ვარსკვლავის საფეხბურთო დახასიათება. ვფიქრობთ, უფრონაღ „დროშის“ მკითხველებისათვის საინტერესო იქნება ეს მოსაზრებანი.

ბმქნია: ზიკოს ტექნიკა უახლოვდება იდეალს. სპორტული კომენტატორები ვერ ფარავენ იმ ალტაცებას, რომელსაც მათ ანიჭებს ზიკოს გადაცემებისა და კარში დარტყმების სიზუსტე, დრინდინგი, სისწრაფე. ორთაბრძოლაში ძალიან ძნელია მისთვის ბურთის წართმევა. ბრაზილიელი ითვლება საჭარბოდ დარტყმების განუმეორებელ შემსრულებლად. ამ დარტყმებს ზიკოს ასრულებს მილიმეტრამდე დასული სიზუსტით. ზიკო ერთნაირი წარმატებით თამაშობს, როგორც ბრაზილიაში გავრცელებული ზონური, ასევე იტალიური პერსონალური დაცვის წინააღმდეგ.

პლატინის ბურთით შეუძლია ყველაფრის ან თითქმის ყველაფრის გაკეთება, უპირველეს ყოვლისა, მას ძალუქს ბურთის გაგზავნა ნებისმიერი მიმართულებითა და საჭირო სიჩქარით. ყოველივე ამას პლატინი ასრულებს მსუბუქად და ძალდაუტანებლად. მისი მოძრაობები არაა იხე



ზიკო და პლატინი

ელეგანტური და დახვეწილი, როგორც ზიკოსი. ფრანგის ყოველი მოქმედება, ყველა ღებთაღი დამუშავებულია მრავალსაათიანი ვარჯიშით. პლატინის გააჩნია აზროვნებისა და მოძრაობის იდეალური პარმონია, ამის დამამტკიცებლად შეიძლება მივიჩნიოთ მისი განთქმული საჯარო დარტყმები. გარდა ამისა, უნარი შესწევს დიდ სისწრაფეზე შეასრულოს ბრწყინვალე გადაცემები და ზუსტად ურტყას კარში. ბევრი სპეციალისტი აღნიშნავს პლატინის მიერ მოედანზე საუკეთესო პოზიციის შერჩევას უნარს.

ადგილი გუნდში და მონაწილეობა შეტამბებში: ზიკო ასრულებს მნიშვნელოვან როლს მოედანზე საგოლე სიტუაციების შესაქმნელად — თავისი ადლოთი და მიჩენილ ადგილზე უზადო თამაშის უნარით.

ბრაზილიურ კლუბ „ფლამენგოში“ იგი ხშირად ენაცვლებოდა ცენტრალურ თავდამსხმელს (ნუნეისს ან ბალთაზარს) და რეგულარულად გადიოდა საგოლე პოზიციაში. სამშობლოში თამაშის დროს, ზიკოს აყენებდნენ სხვადასხვა ამპლუაში, მაგრამ თავდამსხმელი იყო თუ ნახევარმცველი, ყველაზე ხშირად მაინც იგი ამყოფებოდა მოწინააღმდეგის კართან უშუალო სიახლოვეს.

გუნდის მთელი შემტევი მოქმე-

დება ზიკოს ირგვლივ თავმოყრილი, მაგრამ ის არ საზღვრავს მათ რიტმს. ბრაზილიელი იდეალურად ფლობს პასის ხელოვნებას და ხელმძღვანელობს კოლექტიურ თამაშს, მაგრამ, როგორც წესი, ხშირად არ ასრულებს ბოლო გადაცემას და გოლი თვითონ გააქვს.

პლატინი შევიდა იტალიისა და ევროპის პირველობების საუკეთესო ბომბარდირთა რიცხვში. მასში აშკარად იგრძნობა მოწოდება — იყოს ფორვარდი, მაშინაც კი, როცა უკანა დახეული.

პლატინი თავისი საფეხბურთო კარიერის მანძილზე სხვადასხვა როლს ასრულებდა. როცა ცენტრალური თავდამსხმელის ადგილზე თამაშობდა, იგი ხშირად იხევდა უკან ბურთის დასაუფლებლად. ასეთივე როლს ასრულებს იგი „იუვენტუსშიც“. პლატინის მონაწილეობა შეტევის დამამთავრებელ ფაზაში ოდნავადაც არ კლებულობს. მას შეუძლია, გადასცეს ზუსტი პასი 40 მეტრის მანძილზე და მოწინააღმდეგის კართანაც მოასწროს. პლატინზე წინ, როგორც წესი თამაშობს ორი თავდამსხმელი — როსი და პენძო, ზოგჯერ მათ ბონეციც უერთდება.

მონაწილეობა დაცვაში: ზიკო იშვიათად ებმება ორთაბრძოლაში მოწინააღმდეგე გუნდის ფეხბურთელებთან. ის პარტნიორებზე სუსტა-

არ არის, მაგრამ ბრაზილიელის ტექნიკური თვისებები მაინც აღემატებიან მის ფიზიკურ შესაძლებლობებს. იტალიის ჩემპიონატის მატჩებში ზიკო არცთუ იხე ხშირად იხევს უკან. „უდინეზეში“ არის ცხრა ფეხბურთელი, რომლებსაც შეუძლიათ თავიანთი კარის დაცვა და ეს საქმარისია დაცვისთვის.

როცა პლატინი გამოჩნდა ფეხბურთში, მისი ფიზიკური მონაცემები საშუალოზე ნაკლები ჩანდა.

სამედიცინო შემოწმებისა და სხვადასხვა პროცედურათა შესრულების შემდეგ, ფრანგული კლუბის „მეცის“ ხელმძღვანელებმა პლატინი გუნდში არ აიყვანეს. ამის შემდეგ, პლატინი ბევრს ვარჯიშობდა და მისი ფიზიკური შესაძლებლობები შესამჩნევად გაუმჯობესდა. მას არ ეშინია ორთაბრძოლებისა და ამას ნათლად ამტკიცებს ყოველ მატჩში. „იუვენტუსში“ პლატინი აქტიურად მონაწილეობს მოწინააღმდეგისათვის ბურთის წართმევაში.

თავით თამაში: „მეორე სართულზე“ ზიკო თავს მთლად დამაჯერებლად ვერ გრძობს. მან არ გამოიმუშავა თვისებები, რათა გამხდარიყო საფეხბურთო ტექნიკის ამ მეტად მნიშვნელოვანი ნაწილის სპეციალისტი. ზიკოს არ შეუძლია თავისი მოძრაობები მოიყვანოს ბურთის მოძრაობის ტრაექტორიასთან შესაბამი-

სობაში. 178 სანტიმეტრი სიმაღლის ზიკო თითქმის გაურბის თავით თამაშს.

პლატინი ყოველთვის კარგად მოქმედებს ჰაერში. მას არცთუ იშვიათად აღარებენ თავით თამაშის საუკეთესო სპეციალისტებს — ინგლისელებს. ფრანგის სიმაღლე 179 სანტიმეტრია. მას შეუძლია გააკეთოს ნახტომი ყველაზე ხელსაყრელ მომენტში და დაარტყას ბურთს თავით დიდი სიზუსტითა და სიძლიერით.

ინდივიდუალური ნიშან-თვისებები: ზიკოს უყვარს მაყურებელთა განცვიფრება ფანტასტიკური დარტყმებით. განსაკუთრებით მაშინ, თუ შესაძლებლობა მიეცემა, ნახტომში დაარტყას კარის მიმართულეობით. მისთვის დამახასიათებელია აგრეთვე დრიბლინგი. ზოგჯერ ზიკო იწყებს განსაზღვრული ფინტის შესრულებას და მას ამთავრებს სხვანაირად. ასეთი მოქმედებით იგი ჩიხში აყენებს მოწინააღმდეგეს.

პლატინის არსენალში არის რამდენიმე საფირმო ელემენტი. ყველაზე ცნობილი და ყველაზე ეფექტურია მის მიერ შესრულებული საჯარო დარტყმები.

თამაზ ზიკლაური



გვარჯილის შედეგი

ზვიგენი დოინო
(კოლონეტი)

გადაწყვეტივით, რისკი გამეწია და სამხედრო კომისარიატისთვის მიმემართა.

როგორც ჩანს, ძალიან ადრე მომიხდა მისვლა, რადგან დიდხანს ვაბრაზუნე კარზე, რომელიც ხნიერმა, უღვაშიანმა და სამხედრო ფორმაში გამოწყობილმა ბიძამ გაძილა. ხელები გამურული ჰქონდა — ეტყობა, ღუმელს ანთებდა. სახეზე უკმაყოფილება გამოეხატა.

— რა ეშმაკმა მოგიყვანა ამ დილა-უთენია. უწყება გაქვს?

— არა, არა მაქვს.

— მაშ რა გინდა?

— მე სამხედრო კომისარიატში მოვედი.

— გასაგებია, რომ დეიდასთან არ მოსულხარ.

— საქმე მაქვს.

— ჩვენთან უსაქმოდ არავინ მოდის.

— მე ძალიან მნიშვნელოვანი საქმე მაქვს, ბიძია.

— შენი „ბიძია“ მე სამოქალაქო ცხოვრებაში ვარ. აქ კი ჯარია. რაო, სამხედრო წოდებებში ვერ ერკვევი?

— მართალი რომ გითხრაო, წარმოდგენაც არა მაქვს.

— მაშინ იცოდე, რომ უნდა მომმართო ასე: ამხანაგო ზემდეგო! ასეთ წოდებებს ჰაიპარად როდი არიგებენ. შენ იმას ნუკი უყურებ, რომ ღუმელსაც ვანთებთ. ჯარისკაცი ლამაზმანი არ არის, ყველაფრის კეთება უნდა იცოდეს.

ზემდეგი ჩემკენ ზურგიით შებრუნდა და დერეფნისაკენ კოჭლობით წავიდა. მე გაუბედავად გავყევი. მან ღუმელის კარი დახურა, ხელები შარვა-ლზე გაიწმინდა, ტაბურეტზე დაჯდა და ჯიბიდან თუთუნის ამოიღო.

— მოსწევი?

— მოწევა არ ვიცი.

— ჰოდა, ნურც ინანებ.

— არც ვნანობ. არ მინდა და არ ვეწევი.

— ოც წლამდე არც მე ვეწეოდი. ახლა კი შეხედე, ფრჩხილებიც კი გამოყვითლდა. აბა ახლა მითხარი, რა საქმე გაქვს ჩვენთან.

— ჯარში მინდა.

ზემდეგმა თავიდან ფეხებამდე კრიტიკულად შემათვალიერა. მერე ისე დაიღრჩა, თითქოს კოვზით ძმარი შესვას და ჭუჭყიან იატაკზე გადააფურთხა.

— გამომიჩნდა, ესეც, მეომარი! დღე არ გავა რომ რამდენიმე შენისთანა ლაწირაკი არ გამოცხადდეს. ჯერ ცხვირი არ მოუხოციათ, პირზე რძე არ შეშრობიათ და იმის ნაცვლად, რომ დედის კალთას ჩასჭიდონ ხელი, ფრონტზე გარბიან! მოუსვი აქედან, თანაც, ცოცხლად!

— კარგი, მაგრამ დედაჩემს ნუ ეხები.

— ამას დამიხედეთ, ერთი, რა ბუტია! დედაშენი თუ გაიგებს, რომ აქედან გაგაგდე, ძალიანაც დიდ მადლობას მეტყვის.

— ვერ გაიგებს დედაჩემი და ვერც მადლობას გეტყვით... თქვენ ის მითხარით, როდის მოვა თქვენი უფროსი.

— დაიწყება სამუშაო დღე და მოვა.

— კარგი. მე თვითონ მოველაპარაკები.

ხეობარზე გაბრაზებულმა, კარისაკენ გავწიე, მან კი შემაჩერა.

— მოიცა, აქაც შეგიძლია დაიცადო, სიტბოში. მაგრამ იცოდე, რომ არაფერი გამოგივა. ამას შეხედეთ, ჯარის უფ-

როსთან მოლაპარაკებას აპირებს! იგი თვითონ იყო ჯარში და კარგად იცის, რომ იქ ბავშვებს არაფერი ესაქმებათ! რამდენი წლისა ხარ, თუ საიდუმლო არ არის?

— თუ გინდათ, იცოდეთ, ამ გაზაფხულზე თქვესმეტისა შევსრული.

— ჩვენ კი მხოლოდ თვრამეტისას ვღებულობთ, აი ასე!

— მაგრამ მე ხომ პოლონელი ვარ!

— მერე რა? ჩვენ აქ პოლონელებიც გვინახავს. ყველანი ეგეთები ხართ.

— როგორ თუ „ეგეთები“? მაინც როგორები? — ვიფეთქე მე, რადგან ვერ გავერკვიე, თუ რას გულისხმობდა ზემდეგი.

— როგორები და ზედმეტად ფიცხები. იმათაც ფრონტზე უნდოდათ, თანაც რაც შეიძლება, მალე.

მე დავდუმდი. სხვათაშორის, აღარც ზემდეგს გაუგრძელებია საუბარი და ქვედა ტუჩზე მიწებებული ნამწვით ჩაიდნის გარშემო დაიწყო ფუს-ფუსი. მერე თუნუქის ორ ტიქაში ჩაი დაასხა, ამოიღო მოყვითალო ფერის შაქრის ნატეხი და ერთი დარტყმით ორ თანაბარ ნაწილად აქცია.

— აბა, გავიყოთ. ჯერ ჩაი დავლიოთ, მერე კი ვნახოთ, რა გამოვა.

— ნუ წუხდებით, ბიძია... ოი, მაპატიეთ, ამხანაგო ზემდეგო. მე...

— გამომართვი, გამომართვი. ნათქვამია, გაძლევენ, აილე, გცემენ და გაიქეციო. ჰკვიანი ხალხის ნათქვამია.

— გმადლობთ.

ცხელი ჩაი, თანაც დიდხნის

უნახავი შაქრით, სასიამოვნოდ მითბობდა დამშეულ კუჭს.

ზემდეგი ერთხანს დადუმდა და ჩაის ჩუმად ჩაეგვინა. მერე თავი დააქნია და თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა.

— მაშასადამე, პოლონელი ხარ? ჩვენთან პოლონელებიც ყოფილან, შენნაირმა მკირე-წლოვანებმაც მოგვაკითხეს.

— მერე რაო?

— ცხადია, როგორც მოვიდნენ, ისე წავიდნენ. ომი, ჩემო ძმაო, პიონერული თამაში ან ლაშქრობა როდია. იქ მხოლოდ სიკვდილი, ჭრილობები და სისხლია, — ზემდეგმა ხელი უმოძრაო მუხლზე დაიტყაპუნა, გადააფურთხა და ისევ სათუთუნეში ჩაძვრა, — ის სხვა ამბავია, როცა ფრონტზე უფროსი მიდის... ეს მისი ბედი და, თუ გნებავს, მოვალეობაა. ბავშვი კი მაინც ბავშვია. წადი, შვილო, საიდანაც მოსულხარ. ფრონტს როგორმე უშენოდაც მოუვლიან. გულით გეუბნები, დამიჯერე...

— სად წავიდე... წასასვლელი ადგილიც არა მაქვს.

— ეგ როგორ? საიდანა ხარ?

— ტაიგიდან. რკინიგზამდე ტივით გამოვცურე და ახლა ჯარში ვაპირებ.

— მილიციაში უნდა გიქრას თავი კაცმა! სად გავგონილა, ასეთი წანწალი! შენი მშობლები სად არიან?

— არა მყვანან.

— როგორ თუ არა გყვანან?

— დედა მომიკვდა. მამა კი ფრონტზეა.

— აი თურმე რა ყოფილა... მაგრამ არა უშავს. ჩვენი ქალაქი დიდია, სამუშაოს გამოგონახავთ. ომის დამთავრებამდე აქ დარჩი, მერე კი გზაც გამოჩნდება.

— არც ვიფიქრებ.

— ეგ როგორ გავიგო, გენაცვალე?

— თუ მიმართვას არ მომცემთ, მე თვითონ წავალ ფრონტზე.


— შორს ვერ წახვალ. შენთვის ცნობილი არ არის, შენნაირ მაწანწალებს როგორ ექცევიან? მილიციაში ჰკუთახე მოგიყვანენ. სხვათაშორის, მე ახლავე შემიძლია მათთან დაჩეკვა.

— ნუ მაშინებ. გაგაქეცივი.

— ამ კერა-ჯიუტს დამიხედეთ! თუკი ასეა, აქედან მოუსსვი, თორემ თუ გავბრაზდი, ქამარს შევიხსნი და გაგტყეპავ!

— მაგას მოსწერებთ. მანამდე კი თქვენი უფროსი უნდა ვნახო.

— შენი საქმისა შენ იცი. უფროსი საცაა მოვა. ჩვენი მაიორი ფრონტის ოფიცერია. შეიძლება ითქვას, რომ გპირია. ფრონტის ამბები კარგად იცის, ისე, რომ შენისთანებს ლაი-



ლის არ დაუწყებს. მისი შვილიც იყო ფრონტზე...

— მაშასადამე, გამიგებს კიდევ.

— გულწრფელად გირჩევ, თვალთაც არ დაენახო. ახალგაზრდებს მხოლოდ კანონის მიხედვით ლეზულობს და არავითარ შემთხვევაში დათმობაზე არ მიდის. მცირეწლოვანებს ზღურბლზეც არ ვაძლავებ... ჩაიხედავს შენს საბუთებში, ნახავს, რომ თვრამეტისა არა ხარ და კინწისკვრით გაგისვრის. მე რე შევა კაბინეტში და კბილების ღრჭილით ბოლოს ცემას დაიწყებს. მთელი ტანით ცახცახებს ხოლმე... რაიმე საბუთი გაქვს?

— არა.
— ამას უყურეთ, ერთი! და შენ კიდევ აქ მოსვლა გაბედე? ახლავე ყურმილს ავიღებ და მილიციაში დავრეკავ. როგორ შეიძლება უსაბუთოდ ყოფნა!

მე პასუხის თქმაც ვერ მოვასწარი, რომ დერეფანში ნაბიჯების ხმა გაისმა. ზემდეგი წამოხტა და ფარაჯა სწრაფად გადაიკვია.

— ჩვენი უფროსია! — წამჩურჩულა.

კარი გაიღო და ოთახში ენერგიულად შემოვიდა ძალიან მაღალი, გამხდარი და შავი ნაჭრით თვალახვეული მაიორი. ზემდეგი მის წინ ქუდით ხელში გაიჭიმა.

— ამხანაგო გვარდიის მაიორო, ჩემი მორიგეობის დროს რაიმე შემთხვევას ადგილი არა ჰქონია. ანგარიშს ვაბარებთ მორიგე, გვარდიის ზემდეგი სელივანოვი.

მაიორმა პატაკი მიიღო, ზემდეგს ხელი ჩამოართვა და მხოლოდ ამის შემდეგ ჰკითხა ჩემზე:

— ეს ვილაა?
— პოლონელია... — ყოყმანით მიუგო ზემდეგმა.

— ვერ გავიგე.

— მოგახსენებთ, ამხანაგო გვარდიის მაიორო: ამ ყმაწვილმა თხოვნით მოგვმართა... უფრო სწორად, იგი თქვენ გელოდებოდა. მე ვერჩიე, რომ წასულიყო, არ მოეცადა, რადგან ჩვენ მის თხოვნას მაინც არ დავაკმაყოფილებთ, მაგრამ რომ შეჯდა ვირზე, აღარ ვაძლავებოდა. მე მაინც დაველოდებო. პოლონელი ვარ და პოლონელთა ჯარში მინდაო.

მაიორის შემოხედვა ისეთი გამჟღავნებით იყო, რომ საკუთარი თავისადმი არსებული რწმენის ნარჩენებიც კი ელვის სისწრაფით დავკარგე.

— პოლონეთის ჯარში?
— გაიმეორა თუ იკითხა მაიორმა.

— დიახ. მე გთხოვთ, პოლონეთის ჯარში გამგზავნოთ, — შიშისაგან ნერწყვამშრალმა ამოვფერღე მე.

ჩემდაუნებურად, მაიორის წინ მეც გაჭიმული ვიდექი. ეს, ალბათ, ცოტა არ იყოს, სასაცილოდ გამოიყურებოდა, რადგან მაიორის თვალეში წამის რომელიღაც მონაკვეთში მხიარულმა ნაპერწკალმა გაიელვა.

— მამ პოლონელი ხარ?
— ამჯერად მე მკითხა.

— დიახ.

— ასაკი?
— თექვსმეტი წლისა ვარ... ტყუილის თქმა ვერ შევძე-

ლი, თუმცა უსაშველოდ მინდოდა, თუნდაც ერთი წელი მომემატებინა.

მაიორს სახე უფრო მკაცრი გაუხდა.

— ჩვენ არაფერი გვაქვს სალაპარაკო. თავისუფალი ხართ, მიბრძანდით.

— კი, მაგრამ, ამხანაგო მაიორო...

— ვერ გაიგეთ ჩემი გადაწყვეტილება? — მაიორი თავის კაბინეტისაკენ გაემართა, სახელურს ხელი მოჰკიდა, შემობრუნდა და ზემდეგს მკვახედ მიახალა:

— თქვენ კი, სელივანოვ, რამდენჯერ გაგიმეორეთ, რომ აქ ბავშვები არ შემოუშვათ?

— დამნაშავე ვარ, ამხანაგო გვარდიის მაიორო.

მაიორმა კარი ისე მიიჯახუნა, რომ კინაღამ ფანჯრები ჩამოვლეწა. ზემდეგმა საყვედურით შემომხედა:

— ხედავ, რა ჩავიდინეთ? ახლა ისევ ნახევარ დღეს წინ და უკან ივლის ოთახში. განერვიულდა, განიცდის... მე ხომ გეუბნებოდი, რომ არ ღირდა მასთან შეხვედრა. ო, რა კერპიუტა ხარ!

შემეშინდა, არ ავტირებულობდი. ქუდი სწრაფად ჩამოვიმხე და ჩუმად გავვიდი. ჰიშკართან ცოტა ხანს შევიარაქათე, რომ ოღნავ დავწყნარებულობდი ქალაქში ვასვლის წინ. ისეთი ამინდი იდგა, ძალი არ გაიგებოდა. წვიმა თოვლში ირეოდა და ცივი ქარი დაუნდობლად სისინებდა.

ხელები ჯიბეში ჩავმაღლე, ტანი მოვხარე და ლამის აქვითი-

ნებული, გაურკვეველ გზას და ვადექი, რომ უეცრად ზემდეგის ხმა დამეწია:

— ეი, პოლონელი!

წუთით მომიცადე...
შევბრუნდი. ზემდეგი სელივანოვი ჩემსკენ კოჭლობით მობრბოდა. ცალ ხელში აგურის ფორმის შავი პური ეჭირა, მეორეში კი — ხორცის კონსერვის კოლოფი.

— მეგონა, ველარ დაგეწეოდი... აჰა, გამომართვი, ჯერჯერობით გეყოფა.

— გმადლობთ, არ მინდა. აჯობებს, ჯარში მიმილოთ.

— აილე, ბევრს ნუ ლაქლავებ. სულ ტყუილუბრალოდ გვიჯავრდები. პური ჩემგანაა. კონსერვი კი მაიორმა გისაჩუქრა. ჰო, რას გაიოცე. ნამდვილად მაიორმა გამომატანა. მიტხრა: წაუღე ეს კონსერვი, სელივანოვ, რაღაც ძალიან სუსტად გამოიყურება ჩვენი პოლონელი მეომარიო. სასწრაფოდ პურსაც დაგტაცე ხელი და შენსკენ გამოვქანდი. რაც შეეხება იმას, რომ მაიორი ფრონტზე არ გიშვებს, უნდა გაუგო, ჩემო ძმაო. აქ ასეთი საქმეა: მაიორს ერთადერთი ვაჟი ჰყავდა, შენზე ცოტა უფროსი, ჩვიდმეტი წლისა. ჰოდა, სტალინგრადთან დაიღუპა. ისე დაიღუპა, რომ სიცოცხლე ჯერ რიგვიანდაც არ დაეწყო... დედამა თავის სიხარულსა და ბედნიერებას ვერ შეასწრო... წაღი, შვილო, ნუ გავვიბრაზდები. შენ მაინც იცოცხლე, წინ დიდი გზა გაქვს...

თარგმან მზია ხათაბურაძე.

სპორტი



წლეულს, პირველად თავისი არსებობის მანძილზე, ქუთაისის „სახლმშენის“ რეგბისტთა გუნდმა დიდი სიხარული მოუტანა თავის გულშემატკივრებს: ხაკავშირო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი გახდა უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის, ხოლო ამ გუნდის ახალგაზრდულმა შემადგენლობამ ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის ოქროს მედლები მოიპოვა.

ქუთაისის „სახლმშენის“ რეგბისტთა გუნდი.

ალექსანდრე სამსონია

კახი, როგორც არ იმისს

დიას, არის ასეთი კაცი, მოდიო, მას პავლე საგანელიძე დავარქვათ და ერთ-ერთი დაწესებულების ერთ-ერთი განყოფილების ერთადერთ უფროსად დავნიშნოთ. ამ შემთხვევაში, უმუშაო უფროსი პავლესაც ვეყოლება, მაგრამ რადგანაც ის უჩვეულოდ გადუღებული საქმეებით არის გადატვირთული, ამ მოთხოვნაში ნუღარ შევავსებთ. ჩვენ მხოლოდ საგანელიძეზე ვილაპარაკოთ.

როგორც უკვე ითქვა, მას პავლე ჰქვია. ეს ჰევენთვის. უმცროსებისათვის იგი პავლე გრიგორინია, უფროსი კი, უბრალოდ, პავლეს ეძახის, ან ზოგჯერ, თუ კარგ ხასიათზეა პავლიადაც მოიხსენიებს:

— ყოჩაღ, პავლია, კარგი ღვინო გქონდა წუხელ ოჯახში.

ან კიდევ:

— პავლია, ცოტა უნდა წამქმნარი შენებურად.

— სხვადასხვა ინტონაციებით წარმოთქვამს მის სახელს ცოლი, თვეში ორჯერ კი პავლე პავლიად გადაიქცევა. იგივე მოვლენა აღინიშნება საგანგებო შემთხვევებშიც, როგორცაა კურორტზე გამგზავრება, „შუბის“ ყიდვა და სხვა.

საგანელიძე სერიოზული კაცია და მას გაღიებულს ვერ ნახავთ. მხოლოდ უფროსმა იცის, რომ პავლეს უკანა სამი კბილი ოქროსი აქვს.

ისე დაბლვერილი გიყურებს პავლე, თითქოს მისი რაიმე გემართოს. ქუჩაში რომ შეგვხვდეს, სახეს მოგარიდებს, რადგან უბრალო ხალხისთვის საღამის მიცემა არ უყვარს. საგანელიძე სერიოზული კაცია და სათვალე უკეთია. ადრე ისეთი თვალეები ჰქონდა, ძერას შემურდებოდა, შაურიანს ქუჩის ბოლოდან თავში ხედავდა, მაგრამ როგორც კი უფროსად დანიშნეს, პავლემ სათვალე გაიკეთა და თვალეები გაიფუჭა.

რატომ?

იმიტომ, რომ სათვალე სხვა იერს აძლევს კაცს, სერიოზული ხალხი სათვალით დადის, ცნობილ მწერლებს სათვალე უკეთიათ, ლექტორებიც ახლომხედველები არიან. სათვალე მართო ფეხბურთელებს არა აქვთ და სწორედ ამიტომაც ბურთის გარდა ვერაფერს ხედავენ.

რაც ვთქვით, ეს იყო ზოგადი დახასიათება, ახლა კონკრეტულ საკითხზე ვილაპარაკოთ.

ერთ მშვენიერ დღეს პავლე საგანელიძის კაბინეტის კარი მორიდებით შეაღო მოანგარიშებ, მორიდებით ჩაიხველა და სამჯერ თქვა:

— პავლე გრიგორინ, მე... (ორჯერ რომ ეთქვა, პავლე გრიგორინი ისე იყო საქმეში ჩაფლული, რომ ვერ გაიგონებდა).

უფროსის სათვალე ქაღალდებს მოცილდა და შეკითხვა გამოხატა.

— მე... იმიტომ შეგაწუხეთ, რომ ჩვენმა თანამშრომლებმა ცირეკიძემ და ჭირაქაძემ...

პავლე გრიგორინის შუბლზე ნაოჭი გამოჩნდა.

— რა, ფინანსური დარღვევაა?

— არა, რას ბრძანებთ... მხოლოდ ცირეკიძემ და ჭირაქაძემ გადაწყვიტეს ხელი მოაწერონ, შაბათს ქორწილი აქვთ და მთელი განყოფილება დაპატოვებს. თუ თქვენ წინააღმდეგი არ იქნებით და მობრძანებას იმეებთ, ყველა მაღლობელი დარჩება.

პავლე გრიგორინმა მაცივრიდან გამოიღო ბორჯომი, რომელიც მონგარიშებ გახსნა, ჭიქაში დაასხა და უფროსს მიაწოდა.

— კმ, კარგია, — ჩილაპარაკა პავლემ.

მოანგარიშე ვერ მიხვდა, ვის ეკუთვნოდა ეს „კარგი“ — მას, ბორჯომს თუ ახალდაქორწინებულებს.

— კმ, კმ...

— პავლე გრიგორინ, უხერხული იქნება, იტყვიან თანამშრომლებს არ კადრულობს.

— კარგი ახლა, თათბირი ნუ გამიხსენი, — ხმას აუწია პავლემ, — თავისუფალი ხარ... მოიცა, მოიცა, როგორ თქვი არ ივარგებსო?

— დიას, ჩემი აზრით...

— კმ, კმ...

— ცირეკიძესა და ჭირაქაძეს დამიძახე.

ახალგაზრდებს პავლე განსაკუთრებული პატივისცემით შეხვდა — სკამი შესთავაზა.

— როგორ არის საქმე, ვასრულებთ გეგმებს, ხომ?

— დიას, — თქვა ცირეკიძემ.

— მაშ, როგორც იტყვიან ოჯახის შექმნას აპირებთ, არა?

— დიას, — თქვა ჭირაქაძემ.

— ყველაფერი რიგზე გაქვთ?

— ვერ გავივით? — თქვეს ცირეკიძემ და ჭირაქაძემ.

— მე მხედველობაში მაქვს საბუთები, საქორწინო დოკუმენტები.

ახალგაზრდებს გაღიებდა უნდო-

დათ, მაგრამ მხოლოდ თავი დაუქინეს.

პავლე გრიგორინი წამოდგა და ლიბი მაგიდაზე ქაღალდების გვერდით ჩამოღო.

— მაშასადამე, რაკი ყველაფერი რიგზეა, მე პერსონალურად მოვილოცავთ ამ ისტორიულ მომენტს თქვენს ცხოვრებაში და პერსონალურად ხელს გართმევთ, — თქვა პავლემ და ახალგაზრდებს კოტიტა თითები გაუწოდა.

ასეთი პერსონალური მოლოცვის შემდეგ, ახალგაზრდები, ცოტა არ იყოს, დაიბნენ და სანამ მადლობის თქმას მოახერხებდნენ, პავლე საგანელიძე პერსონალურ სავარძელში ჩაჯდა და პერსონალურ საქმეებს ისე ჩაპყურებდა, რომ ჭირაქაძის და ცირეკიძის კაბინეტიდან წასვლა არც შეუძენდნენ.

რამდენიმე ეპიზოდი სოლომონ სილაგაძის ცხოვრებიდან

ერთხელ უკვე განვახილეთ და შემდეგ პრაქტიკულადაც დამტკიცდა, რომ არც ერთი გამოჩენილი პოეტი და ფეხბურთელი თბილისში არ დაბადებულა.

დიდი ადამიანები პროვინციაში იბადებიან.

სოლომონ სილაგაძესაც ბედმა პროვინციაში დაბადება არგუნა.

მისი მშობლები მოწინავე კოლმეურნეები იყვნენ და ჩაის კრეფის გემებს დიდი გადაჭარბებით ასრულებდნენ.

ლიტერატურისადმი სიყვარული მომავალ პოეტს ნაფიარალებმა ბაბუამ ჩაუნერგა, რომელიც გიტარაზე ამღერებდა თავის ცხოვრებას. ხალხური შემოქმედების დაუფლებაში სოლომონს დედ-მამაც დაეხმარა. მათ შეასწავლეს „ეს თამადა რა ყოფილა, ცოტა ღვინო გვაპყოფინა“, „გოგონია კისკისაო“ და სხვა პოპულარული სიმღერები.

სკოლაში სოლომონმა განსაკუთრებული ნიჭი ენების შესწავლაში გამოამჟღავნა. უკვე მეშვიდე კლასის მოსწავლემ იცოდა, რომ არაყს ქართულად „ოტკა“ ერქვა.

მერვე კლასში რომ გადავიდა, სოლომონ სილაგაძემ ლექსების წერა დაიწყო, როცა ქაღალდი შემოეღო და, თავისი შემოქმედება ოდის კედლებზე გადააქონდა. მართალია, მას შემდეგ ბევრი ათოვა და აწვიმა იმ ნაწერებს, მაგრამ ზოგიერთი მარგალიტი მაინც გადაურჩა ჟამთა სიპყეს.

აი ერთი მათგანი: ორშაბათ დილა გაიფრინდა, გადავასტი ჭიშკარასო, ხელში კალამი უჭაჭა, მივიკრუფდი ჯიშკარასო.

სკოლაში სოლომონი ისე გულმოდგინედ სწავლობდა, რომ არც ერთ კლასში არ დარჩენილა. ჯერი უმაღლესზე მიდგა.

სოლომონის მშობლებმა თავი მოიკლეს, რითაა ჩვენი ბიჭი თავმჯდომარის შვილიშვილზე ნაკლებით და სამი წელი არც იყო ვასული, სოლომონი ინსტიტუტში მოაწყვეს.

ამის შემდეგ იწყება „თბილისის პერიოდი“ — სოლომონ სილაგაძის ცხოვრებასა და შემოქმედებაში, სადაც მან განსაკუთრებული ნიჭი გამოამჟღავნა: სოფლიდან ჩამოსულმა კაცმა უკვე მეორე დღეს იცოდა, რა სივრდის იყო რუსთაველის პროსპექტი და როგორ უნდა გაეღო „დარიალის“ კარი.

ინსტიტუტში სოლომონი მონაწილეობს სტუდენტთა თვითმომქმედებაში. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს მისი საესტრადო სიმღერები „ღინა მარი“, „როზმარი“, „მარი“ და სხვა. მართალია, სოლომონს არა აქვს ხმა, მაგრამ აქვს გიტარა და იცის რამდენიმე უცხოური სიტყვა. ესტრადაზე მეტი არაა საჭირო.

კონცერტებისაგან თავისუფალ დროს სოლომონ სილაგაძე ვსწრებოდა ლექციებს, ხოლო სტიპენდიას მაშისაგან ღებულობდა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სოლომონი ლექსებს ბავშვობიდან წერდა, მაგრამ დაბეჭდვა მხოლოდ სიჭაბუკეში მოახერხა, და ამით კიდევ ერთხელ დამტკიცდა დიდი პოეტის გამონათქვამი, სიჭაბუკე და ნიჭი ერთიანო. ორიოდ სიტყვა მის შემოქმედებაზე.

სოლომონ სილაგაძე ბუნებით ლირიკოსია, მის პოეზიაში იგრძნობა სისველე: წვიმა, ცრემლი, ზღვა, ერთი სიტყვით წყალი იგრძნობა.

სოლომონი ცხოვრებაში დანაგრული კაცია: ბევრს არ უბეჭდავენ, პონორარს ცოტას აძლევან, ბინა ცუდი მისცეს, სამი ცოლიდან ვერცერთს ხასიათი ვერ შეუწყო.

ბედის უკუღმართობამ მაინც ვერ დაჩაგრა სოლომონი. მას დაუშრეტელი ენერჯია აქვს: გამოდის კრებებზე, დასაფლავებებზე. ლანძლავს მტერს და აქებს მოყვარეს; თითქმის ყოველთვის მოეზაურობს, ამასთან ლექსების წერასაც ასწრებს.

საერთოდ იგი ყველაფერს ასწრებს. სოლომონ სილაგაძეს ჯერ ხომ ქრისტეს ასაკამდე არ მიუღწევია, ჯვარზე რომ გააკრან...

გარეკანის პირველ გვერდზე: ალმანაქი ბიძიპაი. გარეკანის მეოთხე გვერდზე: აბარული ნატიშრომობტი. ფოტოები მიქიტორ ჯაიბრანელიანს.


კორექტორი ცინსან სიპინაპა მონტაში ნანული დანელიანი

გადაცვა წარმოებას 7. 12. 84. ხელმოწერილია დასაბეჭდად 27. 12. 84. უე 08877. ქაღალდის ზომა 70x1681/8. იბეჭდება: გარეკანი და ჩანართი — მაღალი ბეჭდვით, ტექსტი — ოფსეტური წესით. ფიზიკური ფურცელი 3, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 4,2 სააღრიცხვო-სავაგამომცემლო თაბახი 5,09. ტირაჟი 48.000. შეკვ. 2788. ფასი 35 კაპ. 880096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.

რედაქციის მისამართი: 380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42. ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-54-66, მთ. რედაქტორის მოადგილის — 99-82-69, პ/მგ. მდივნის — 99-01-39, განყოფილებათა გამგეების — 93-28-42, რედაქციის სამდივნოსი — 99-54-66.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография издательства ЦК КП Грузии. Адрес редакции: 380008. Тбилиси 8. по. Руставели, 42.

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.



საქართველოს
ფოტოგრაფიის
კავშირთა
კავშირთა

პირველი თოვლი.

ფოტო მერაბ ღვინაძისა.

6 204/10

გეოგრაფიული
ზიგლოტიკა



052036 76056

ISSN 0180-1624

გეოგრაფიული ზიგლოტიკა